სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 26 აგვისტო 2008 №196 (3420) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საქართველოში გმირები ბრუნდებიან

წამსვლელი წავიდეს და, ჩვენიანებს როგორ არ დაველოდებით

მიურგი ჟანეთავლის ფოტოები

საქართველო მუდამ რაღაცას ელის. უპირველესად, მესამე კვირაა, რუსების წასვლას. ახლა კი ჩვენს ლოდინს ერთიც დაემატა: ქართველი ოლიმპიელების სამშობლოში დაბრუნება.

გუშინ ქართული დელეგაცია, ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები 20 საათისთვის „აირზენას" ჩარტერული რეისით უნდა ჩამოფრენილიყვნენ პეკინიდან. მთელი დღის განმავლობაში მათი მგზავრობის გრაფიკი რამდენჯერმე შეიცვალა და ჩვენც დადარაჯებულნი ვიყავით დასახვედრად. ბოლოს გაირკვა, რომ ჩვენები დღეს 13:30 საათზე ჩამოფრინდებიან თბილისში. ამ ინფორმაციას გვიან ღამემდე ვამოწმებდით. ავიაკომპანია „აირზენაში" და თბილისის აეროპორტშიც დაგვიდასტურეს, რომ ოლიმპიელები დღეს ნაშუადღევს ბრუნდებიან თბილისში.

დაყოვნების მიზეზად კი პეკინის აეროპორტის გადატვირთვა დასახელდა, რაც, კაცმა რომ თქვას, გასაკვირი არც უნდა იყოს.

ღმერთმა მშვიდობით ამგზავროს ჩვენი გმირები და, ფუი, ეშმაკს, რუსი ჯარის აქედან გასვლისგან განსხვავებით, მათ ლოდინში არასოდეს დავიღლებით...

დღესვე ევროთასებს შემორჩენილი ბოლო ქართული გუნდი ვიტ ჯორჯია ავსტრიაში აუსტრიასთან სათამაშოდ გაემგზავრა

საერთაშორისო ოთხთა ტურნირი
ლატვია. რიგა. 25-27 აგვისტო

ფრანგულმა კლასმა ქართული აღმართი მოხნა

საქართველო 69:90 საფრანგეთი
24:22 17:21 14:18 14:29

საქართველო: ცინცაძე (25 წუთი, 1 ქულა, 3 პასი), ელისი (33 წუთი, 12 ქულა, 3 პასი), სანიკიძე (29 წუთი, 5 ქულა, 8 მოხსნა), ცქიტიშვილი (22 წუთი, 4 ქულა), ფაჩულია (28 წუთი, 23 ქულა, 3 ჩაჭრა);
სათადარიგონი: ვ. ბოისა (22 წუთი 11 ქულა), შერმადინი (7 წუთი, 8 ქულა), გამყრელიძე (17 წუთი, 2 ქულა), შენგელია (9 წუთი, 3 ქულა, 1 დაფარება), ა. ბოისა (3 წუთი, 2 მოხსნა), ტულუში (3 წუთი), ბერიშვილი (1 წუთი)
საფრანგეთი: ტელინი (2), ჩიკანგუ (8), ბოკოლო (5), პარკერი (12), გრადი (8), დე კოლო (13), ბრუნი (9), ტურიაფი (12), კირსკაი (3), დიავარა (10), სოლიმანი (2), მარკიზი (2)

36	მოხსნები	30	1	დაფარება	4
14	პასები	16	20	დაკარგვა	14
7	ჩაჭრა	14	16	ჯარიმა	29
	36/19	ორქულიანები	40/24		
	22/5	სამქულაინები	25/11		
	28/16	საჯარიმოები	10/9		

გუშინ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რიგაში დაწყებულ ოთხთა ტურნირზე პირველი მატჩი ჩაატარა და, მიუხედავად იმისა, რომ იგებდა, საბოლოოდ, გვარიანი სხვაობით დამარცხდა.

ნამატჩევს კომენტარი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის იგორ კოკოშკოვის ასისტენტმა დავით უსტიაშვილმა გააკეთა: „მოლიანობაში კმაყოფილები ვართ. ფრანგებმა ბოლო მეოთხედში გვაჯობეს, მანამდე კი თანაბარი თამაში იყო. თავიდან სულაც ვიგებდით. ასეთ ძლიერ საფრანგეთთან ასე თანაბრად თამაში, თუნდაც სამი მეოთხედი, ძალიან დამაკმაყოფილებელია. საფრანგეთი ხომ ტონი პარკერით, რონი ტურიაფით, იაკუბუ დიავარათი და ერთი სიტყვით, უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდა."

საქართველოს ნაკრები დღეს, თბილისის დროით 16:30 საათზე ჩეხეთს ხვდება.

ჭართველთაგან ყველაზე შედეგიანი ზაზა ფაჩულია იყო

გუშინ დოლიძისგვერდი

ქართველი კადეტები ჩამოქვეითდნენ

პოლონეთი 86:57 საქართველო
17:14 18:15 17:16 34:12

საქართველო: კაკაურიძე (13), ელიაძე (10), ბოკოლიშვილი (10), თენიშვილი (8), გურაბანიძე (5), ჩერქეზიშვილი (3), ალხანაიძე (3), შარაბიძე (3), მუმლაძე (2)

იტალიაში მიმდინარე კადეტის კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ბოლო მატჩიც დათმო პოლონეთთან და A დივიზიონში ადგილი დაკარგა.

ელიტაში დასარჩენად გელა წულაძის ნაკრებს მიზერული შანსი კიდევ ჰქონდა, რადგან უნგრეთმა იტალიასთან ვერაფერი გააწყო და ჩვენი ბედი ჩვენს ხელში იყო, მაგრამ, რად გინდა, ელიტაში დასარჩენად პოლონეთის მთელი 25 ქულით დამარცხება გვმართებდა... პირიქით კი მოხდა.

პოლონეთმა კი თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი საქმეს და თუ პირელი ტაიმის შემდეგ ანგარიშში სხვაობა არც ისე დიდი იყო, იმის შანსი, რომ ქართველი კადეტები 25 ქულით მოიგებდნენ, უკვე წარმოუდგენელი ჩანდა.

ჩვენელმა ტაიმი 52:46 დათმეს, მაგრამ მერე მეტოქე კიდევ უფრო გამოცოცხლდა, თან ქართველებიც მოეშვნენ, რაკიღა საჩვენო ანგარიშით მოგება ვეღარ ხერხდებოდა და...

A დივიზიონს ხელი უნგრეთმა და საქართველომ დაუქნიეს. ელიტაში კი გერმანია და ჩერნოგორია ავიდნენ.

ნიკა კოპაძე

ირაკლი ალხანაიძემ (მარცხნიგ) და ჩვენმა კადეტებმა ვერც პოლონეთთან გააწყეს რამე


მაკა ჩახნაშვილი


ქეთა ჯორგოძე

ფოტოები ალექსანდრეს

ქართული ჩოგბურთის კრიალოსანი: ზოგი კვალიფიკაციაზე, ზოგი ბადეში

ავსტრიის ქალაქ პორტშახში 10 ათას დოლარიან საჩოგბურთო ტურნირზე ორი ქართველი ცდის ძალებს.

ეკატერინე გორგოძემ ტურნირი საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყო. პირველი წრე გამოტოვა, მეორეში კი მასპინძელი პამელა ამონი არ გამოვიდა კორტზე. გორგოძის ძირითად ბადეში გასასვლელად მოლდოველი ალინა პეტრაშის დამარცხება მართებს.

სოფო ქვაცაბაია კი ძირითად ბადეში მე-10 ნომრადაა განთესილი და მისი მეტოქე ჯერაც უცნობია. სოფო საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულებას ელოდება.

ამასობაში საქართველოს პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი ჰოლანდიაშია და 25 000-დოლარიან ტურნირზე აპირებს თამაშს. მაკა მე-2 ნომრადაა განთესილი. წყვილებში კი მისი მეწყვილე არგენტინელი ფლორენცია მოლინერი იქნება და ისინი ფრანგ შოგფესა და ჰოლანდიელ შუფს შეუტევენ.

კაცებში პირველი ჩოგანი ირაკლი ლაბაძე კი ყაზახეთის ქალაქ ალმათაში Southern capital cup-ზე ითამაშებს. ირაკლი სლოვაკ მარეკ სემიანის გაეჯიბრება. წყვილებში ლაბაძე რუმინელ პეტრუ ლუნჩანუსთან ერთად უკრაინელ ბუბკასა და რუს ელგინს შეხვდება.

ტურნირის საპრიზო ფონდი 35 ათასი დოლარია.

ნიკა კოპაძე

კანდიდატი 002: ლევან ახვლედიანი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტის დასაკავების სურვილი, ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმაც გამოთქვა. უფრო კონკრეტულ განცხადებას კი ახვლედიანი მას შემდეგ გააკეთებს, რაც პეკინიდან დაბრუნდება.

ისიც ვთქვათ, რომ ამ დრომდე ოლიმპიურ პრეზიდენტობაზე განაცხადი ძიუდოს ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა გააკეთა. ამჟამად კი სეოკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გოგი თოფაძეა, რომელიც თანამდებობაზე არ აპირებს.

ნიკა კოპაძე



16 წლის საქართველო მემეძვსება
ინდოეთმა რუსეთს დადებითად აჯობა

თურქეთის ქალაქ მერსინში 16-წლამდელ მოჭადრაკეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრდა, რომელშიც 26 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრებმა 10 ტურში 24 ქულას მოუყარა თავი და მე-6 ადგილი დაიკავა.

ბოლოს ქართველებმა სომხეთის ნაკრებს 2,5:1,5 მოუგეს. მერე კი თურქეთის A ნაკრებთან ივივე ანგარიშით დამარცხდნენ და ხუთეულში ვეღარ მოხვდნენ.

თურქეთში ჩვენი ნაკრების ღირსებას ლევან ბრეგაძე, ნოდარ დავარაშვილი, ირაკლი ჯანიაშვილი და გიორგი ნიკოლაიშვილი იცავდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონი ინდოეთის ნაკრები გახდა, რომელმაც რუსეთის ნაკრების მსგავსად 28,5 ქულა დააგროვა, მაგრამ რუსებს დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა. ბრინჯაო ფილიპინების ნაკრებმა წაიღო (27 ქულა).

ნიკა კოპაძე

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს მოწვეულია სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სეოკ-ის ამჟამად მოქმედი წესდების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის დასახელება შეუძლია სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს თავიანთი არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით, ოლიმპიურ აკადემიას, სეოკ-ის მიერ აღიარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებებსა და ასოციაციებს, აგრეთვე გამონაკლისის შემთხვევაში სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში როგორც სპორტული კარიერის, ასევე მისი დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული დამსახურების მქონე ცალკეულ ფიზიკურ პირებს.

სათანადოდ გაფორმებული განცხადება სეოკ-ის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის შესახებ იგზავნება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე მაინც, ანუ არაუგვიანეს 2008 წლის 31 აგვისტომდე.

თბილისში მცირე შანსია
მანჰაიმი, კარლსრუე, კრაკოვი, გრაცი

გადრი კეთილაძის ფოტო

5 სექტემბერს რუსეთ — საქართველოს ახალგაზრდული და 6 სექტემბრის საქარველო — ირლანდიის ეროვნული ნაკრებები: ფეხბურთის გულშემატკივრები ამ ორი მატჩის მოლოდინში კი არიან, თუმც ჯერ არ ვიცით, ან ერთი მატჩი სად გაიმართება (საერთოდ, თუ გაიმართება), ან მეორე... გეცოდინებათ, საქართელოს ფეხბურთის ფედერაცია უარზეა, 21-წლამდელები რუსეთში გააგზავნოს და ეს გასაგებიცაა — აი, ფიფამ კი დღეს უნდა გვითხრას საბოლოო პასუხი, ჩატარდება თუ არა საქართველო — ირლანდია თბილისში და თუ არა, მაშინ სად უმასპინძლებენ ჩვენები ბრიტანელებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას ამ საკითხებზე დავუკავშირდით...

— რამდენად დიდია იმის შანსი, რომ ფიფამ საქართველო — ირლანდიის მატჩის თბილისში ჩატარების უფლება მოგვცეს?

— მცირე შანსია. ჩვენ ხვალ უნდა წარვადგინოთ ფიფაში ის ქალაქი და სტადიონი, სადაც გვსურს ირლანდიის მასპინძლობა. ეს იმ შემთხვევაში, თუ ფიფა საბოლოოდ გამორიცხავს თბილისის ვარიანტს.

— როგორც ნოდარ ახალკაცმა გვითხრა, მატჩი, ალბათ, გერმანიაში, მიუნხენში გაიმართება. სხვა ვარიანტებიც არსებობს?

— დიახ, გერმანიაში კარლსრუესა და მანჰაიმის ვარიანტებია. გარდა ამისა, გვაქვს პოლონეთში და ავსტრიაში თამაშის ვარიანტებიც, კერძოდ, კრაკოვის და გრაცის სტადიონები.

— და რუსეთთან მატჩი? როდის გადაწყვეტს უეფა ამ მატჩის ბედს?

— ჩვენ უეფას ვაცნობეთ, რომ გვსურს, ეს შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე გაიმართოს. იქიდან პასუხი არ ყოფილა.

— როდის ელით პასუხს?

— ზუსტად არ ვიცით.

— უეფამ რომ რეაგირება არ მოახდინოს და შეხვედრა ჩვეულებრივ, მოსკოვში დაინიშნოს, ჩვენი ნაკრები არ ჩავა სათამაშოდ?

— ჯერჯერობით იმ პოზიციაზე ვართ, რომ არ ჩავალთ.

ილია ნანოგაფვილი

ხსოვნის თამაში გორში

საზარელი დღეები გამოიარა საქართველომ. რუსულმა ჯარმა ჩვენს ქვეყანაზე დაგროვილი ბოღმა გადმოანთხია და რაც ისტორიულად მოსდგამს, ის გააკეთა — სისხლისღვრის მოყვარულმა რუსულმა არმიამ საქართველოს ტერიტორია დაბომბა, რასაც ბევრი ჩვენი თანამემამულე შეეწირა.

მტრის განსაკუთრებული სამიზნე გორი იყო, სადაც დღეს „ოლიმპის“ აკადემიის ინიციატივით, საფეხბურთო მატჩი ჩატარდება და ვინც ჩვენი ქვეყნისთვის თავი გაწირა, მათ ხსოვნას მიეძღვნება.

ერომანეთს შეხვდებიან ცხინვალის „სპარტაკი“ და თბილისის „თბილისი“. „სპარტაკის“ შემადგენლობაში გორელი ფეხბურთელებიც ითამაშებენ, ხოლო „თბილისის“ მაისურით ვეტერანი ფეხბურთელებიც ითამაშებენ.

„თენგიზ ბურჯანაძეზე“ მატჩი 17 საათზე დაიწყება.

ნუკრი ლოლაძე

დარასელია დაბრუნდა, ლოკომოტივი იგებს

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ვიტალი დარასელია

ქართული კლუბები შეძლებისდაგვარად ემზადებიან. ფორმის შესანარჩუნებლად ზოგიერთმა ტესტ-მატჩებიც გამართა. თბილისის „ლოკომოტივი“ „ვიტ ჯორჯია 2“-ს გაეჯიბრა და 2:1 მოუგო.

„ლოკოდან“ გამოირჩნენ ახლახან ტრავმამოშუშებული ვიტალი დარასელია და დავით ჩაგელიშვილი, რომელიც რატი ალექსიძის ნაცვლად 35-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. რატიმ მცირე ტრავმა მიიღო.

ერთი სიახლეც: გიორგი კიკნაძეს გუნდში ჩაირიცხა ნახევარმცველი კახა მახარაძე, მან გასული სეზონი „ბათუმში“ ჩაამთავრა.

„ლოკომოტივის“ შემადგენლობა ასეთი იყო:

ლომაია (ბათიაშვილი 46), გუშარაშვილი (კაიშური 46), ფარულავა (კ. მახარაძე 46), ფოფხაძე, ქუხილავა (ლ. ჩაგელიშვილი 70), ზ. ჩხეტიანი (ა. კობიაშვილი 60), ი. სამხარაძე (ბარბაქაძე 60), ჩირიკაშვილი, კახელიშვილი, გ. ჭელიძე (დარასელია 46), ალექსიძე (დ. ჩაგელიშვილი 35).

ნუკრი ლოლაძე

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

ბ. დოლენჯაშვილის ფოტო

საქართველო ფეხბურთის, როგორც იქნა, მიუბრუნდა

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გამგეობის სხდომა ჩატარდა და დადგინდა, რომ საქართველოს თასის მერვედფინალური მატჩები 30, 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს ჩატარდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით დღეს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში პრესკონფერცია გაიმართა. რა შეხსენება უნდა, რომ ეს მატჩები 7, 8 და 9 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა ცნობილი მოვლენების გამო საქართველოში ვის ეფეხბურთებოდა.

დინამო — თბილისი
ზესტაფონი — ჩიხურა
ლოკომოტივი — ჭიათურა
მერანი — სპარტაკი

მერვედფინალის ეს ოთხი მატჩი 30 აგვისტოს გაიმართება. მარტვილის „მერანის“, და ცხინვალის „სპარტაკის“ პირველი მატჩი გორში უნდა გამართულიყო, მაგრამ პროფესიულმა ლიგამ გასაგები მიზეზების გამო მასპინძელი შეცვალა.

31 აგვისტოს კი ეს თამაშები გაიმართება:

ამერი — გურია
ოლიმპი — ბაია
სიონი — კოლხეთი

მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართება 1 სექტემბერს:

ვიტ ჯორჯია — სამტრედია

გამგეობის გუშინდელ სხდომაზე ეროვნული ჩემპიონატის დაწყების თარიღიც დაამტკიცეს. უმაღლესი ლიგა 13 სექტემბერს დაიწყება, პირველი ლიგა კი სტარტს 7 სექტემბერს აიღებს და როგორც დაგეგმილი იყო, სამ-სამ წრედ ჩატარდება. ჩამოთვლილი სათასო მატჩები კი 16 საათზე დაიწყება.

ნუკრი ლოლაძე

ჩვენი ბრიგადა დებრეცენში



ლევან ფანიაშვილი

გადრი კეთილაძის ფოტო

ხუთშაბათს, 28 აგვისტოს, უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე უნგრული „დებრეცენი“ შვეიცრიაულ „იანგ ბოიზს“ უმასპინძლებს. ეს მატჩი ჩვენთვის იმიტომ არის საინტერესო, რომ მას ქართველი მსაჯები მოემსახურებიან. „დებრეცენი“ — „იანგ ბოიზის“ მატჩზე უეფამ მთავარ მსაჯად ლევან ფანიაშვილი, ასისტენტებად მამუკა ელიკაშვილი და ზაზა მენთეშაშვილი, ხოლო მეოთხე მსაჯად ლაშა სილაგავა მიავლინა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ვიტ ჯორჯია, მიბაძე რაპიდს!

„ვიტ ჯორჯიას“ საუეფასთასო მეტოქემ „აუსტრიამ“ მაქსბუნდესლიგაში მორიგი მატჩი გამართა და თანაქალაქელ „რაპიდთან“ 0:3 განადგურდა. აღსანიშნავია, რომ „აუსტრიასთვის“ ეს პირველი საამსეზონო მარცხი იყო. ახლა მათ 7 თამაშიდან 12 ქულა აქვთ და მეოთხე ადგილზე არიან. „რაპიდთან“ ვიტელთა მეტოქემ უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა, გუნდს ტრავმამოშუშებული მამადუ დიაბანგიც დაუბრუნდა.

აუსტრიელთა შემადგენლობა ასეთი იყო: *საფარი, შტანფესტი, ბაკი, მადლი, მაისტოროვიჩი (სუნი 76), სულიმანი (კრამერი 61), ჰატენბერგერი, ბლანშარი (ოკოტი 46), აჩიმოვიჩი, ბაზინა, დიაბანგი.*

ილია ნანოგაფვილი

მხოლოდ ეს იყო: გოლი, პასი, პასი

გასული უქმეები ვერაფერი ხეირიანი გამოდგა ქართველი ფეხბურთელებისთვის. მხოლოდ კინკილა გოლი და ორი საგოლე გადაცემაა ჩვენებურთა ანგარიშზე და ისიც ბელარუსისა და ლატვიის ჩემპიონატებში. თუმც თავიდან მივყვეთ...


დავით კვირკველია

იტალიის ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, ამიტომ „მილანი“ საერთაშორისო ტურნირებში თამაშობს და არცთუ ხეირიანად. მილანელებმა 0:2 წააგეს ხიხონის „სპორტინგთან“. კახა კალაძემ პირველი ტაიმი ითამაშა.

განაცხადში ვერ მოხვდა ზურაბ ხიზანიშვილი, „ბლექბერნი“ კი შინ დაუზავდა (1:1) დებიუტანტ „ჰალის“.

ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას „შალკე“ სტუმრად 1:1 ეთამაშა კონკურენტ „ვერდერს“. კობიმ სრულად ითამაშა, ყენიას კი ჯერ განაცხადში მოხვედრის უფლებაც არ აქვს.

ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ“ სტუმრად 1:2 წააგო „ჰამბურგთან“. ჩვენებური სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარან მეორე ბუნდესლიგელი ქართველებიც. ოთარ ხიზანეიშვილის „აუგსბურგმა“ შინ 3:0 მოუგო „ალენს“, ხოლო მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“-მა ასევე შინ 1:2 წააგო „მაინცთან“.

ავსტრიის ჩემპიონატში ისევ მოიგო „შტურმმა“, რომელმაც ამჯერად 2:0 მოუგო „ლინცერს“. გიორგი შაშიაშვილმა და ილია კანდელაკმა 90-წუთიანი წვლილი შეიტანეს საკუთარი გუნდის გამარჯვებაში.

ჩეხეთში კი 63 წუთი დაჰყო მოედანზე დიმიტრი ტატანაშვილმა და შემდეგ შეცვალეს, „პლზენი“ კი სტუმრად 1:1 ეთამაშა „ლიბერეცს“.

რუსეთის ჩემპიონატში ნუკრი რევიშვილის, ლაშა სალუქვაძისა და დავით კვირკველიას „რუბინი“ ისევ ცხრილის თავშია და კონკურენტებს ახლა უკვე 4 ქულით უსწრებს.

ყაზანელებმა შინ 2:0 მოუგეს „ხიმკის“. რევიშვილი განაცხადშიც არ ყოფილა, სალუქვაძე მოედანზე 89-ე წუთზე გამოჩნდა, ხოლო კვირკველიამ სრულად ითამაშა და „სპორტ-ექსპრესმა“ ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა, რაც ამ გაზეთმა მიმდინარე სეზონში უკვე მეოთხედ გააკეთა.

„ნალჩიკის“ შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშეს ალექსანდრე ამისულაშვილმა, გოგიტა გოგუამ და დავით სირაძემ ცსკა-სთან მატჩში. უგოლო შეხვედრაში გამარჯვების მომტანი გოლის გატანა სირაძეს შეეძლო, მაგრამ მატჩის მიწურულს ბურთი ძელს გაარტყა.

ერთნაირი ანგარიშით — 1:2 სტუმრად წააგეს ლევან გვაზავას (90 წუთი) „ლუჩმა“ რამენსკოეს „სატურნთან“ და მალხაზ ასათიანის (არ უთამაშია) და დავით მუჯირის (2 წუთი) „ლოკომოტივმა“ გროზნოს „ტერეკთან“.

უკრაინაში ორწუთიანი ქართული დერბი შედგა. ოდესაში კახა მჟავანაძის „ჩერნომორეცი“ შინ 1:3 დამარცხდა გიორგი ციმაკურიძის „ზარიასთან“. მჟავანაძემ 90 წუთი ითამაშა, ციმაკურიძემ — ბოლო ორი.

წააგო ვასილ გიგიაძის „ტავრიამაც“ — 1:2 დონეცკის „მეტალურგთან“. ჩვენებური მოედანზე 52 წუთი იყო.

90 წუთი ითამაშა და ევროპაში ერთადერთი ქართული გოლი გაიტანა გივი კვარაცხელიამ. მისმა „მტზ-რიპომ“ კი სტუმრად 2:0 მოუგო ჟოდინოს „ტორპედოს“, რომლის შემადგენლობაში არ უთამაშია გიორგი ჭედიას.

საგოლე პასები დარიგდა ლატვიაში. ზურაბ მენთეშაშვილის პასით ერთადერთი გოლი გაიტანა „ვენსპილსმა“ და ამჯერად „დაუგავას“ მოუგო.

მე-12 წუთზე 0:3-ს აგებდა „სკონტო“. რიგელებმა დარჩენილ დროში სხვაობა მხოლოდ მინიმუმამდე დაიყვანეს — 2:3. ამ თამაშში ვლადიმერ დვალიშვილმა საგოლე პასი მიითვალა. მან და დავით გამეზარდაშვილმა 90 წუთი ითამაშეს.

თამაზ პერტიას გაწვრთნილმა „დინაბურგმა“ კი 3:1 მოუგო „რიგას“. პავლე დათუნაშვილმა, რომელიც გუშინ იუბილარი იყო, 67 წუთი ითამაშა.

მიხეილ ჟორჟოლიანი



ამ უქმეებზე ევროპაში ერთადერთი ქართული გოლი გავიდა. ბელარუსში მოთამაშე **გივი კვარაცხელია** თავით ულამაზესი გოლი გაიტანა და თავის „მტზ-რიპოს“ სტუმრად მოაგებინა. გოლი გოლად და, კვარაცხელია სტაბილური თამაშით გუნდის ლიდერი ხდება. მისით ბელარუსი ჟურნალისტებიც ხშირად ინტერესდებიან.

გაწელე დაცვა და გაიმარჯვე

— მძიმე თამაში იყო?

— იოლი რომ არ იქნებოდა, ვიცოდით და ამისთვის ვემზადებოდით კიდეც. ჩვენთვის მთავარი იყო, სამი ქულა აგვეღო. კარგია, რომ ეს მოვახერხეთ.

— პირველ ტაიმში გუნდი თავის თავს არ ჰგავდა. მეთანხმები?

— დიახ. ამაში დამნაშავე მეტოქეა, უბრალოდ, „ტორპედო“ დაცვაში „იჯდა“. საჭირო იყო აქტიურად გამოგვეყენებინა ფლანგები, რათა მათი დაცვა გაგვეწელა. შესვენებაზე მწვრთნელმა ჩვენს შეცდომებზე მიგვითითა და შედეგიც მივიღეთ.

— არ თვლი, რომ სწორედ შენი გოლი გამოდგა გამარჯვების?

— არა. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გაიტანს, მთავარია, გავიტანეთ. იმ მომენტში ვილკანოვმა ისე მშვენივრად ჩააწოდა, ისლა დამრჩენოდა, დამერტყა. შევხედე, სად იდგა მეკარე და შორეულ კუთხეში დავუმიზნე.

მეკარე და პენალტი

თევდორაძემ ვერ გაიტანა, გაუტანეს

რევაზ თევდორაძე

„**გაგრამ**“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა. ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდები ამჯერად საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს გაეჯიბრნენ და 2:1 იმარჯვეს.

გაგრელებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-11 წუთზე ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვეს. მე-5 წუთზე ზვიად მეტრეველმა გახსნა ანგარიში, მერე კი გიორგი გაბედავამაც იხეირა. უმაღლესლიგელებს კიდევ შეეძლოთ სხვაობის გაზრდა, თუმც ახალგაზრდული ნაკრების მეკარე რევაზ თევდორაძემ პენალტი ვერ გამოიყენა. მოგვიანებით კი პენალტი თავად თევდორაძის კირში გავიდა — 19-წლამდელთაგან თერთმეტმეტრიანი გიორგი თარხნიშვილმა გაიტანა, თუმცა მატჩის გადარჩენა ნაკრებელებმა ვეღარ მოახერხეს.

სხვათა შორის, „გაგრას“ შემადგენლობაში ითამაშა ლევან მელქაძემ, რომელიც გასულ სეზონში ყარაგანდის „შახტიორში“ თამაშობდა. „გაგრას“ მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძის თქმით, მელქაძე გუნდთან ერთად კი ემზადებ, მაგრამ მისი „გაგრაში“ დარჩენა გამორიცხულია.

გუნდებმა ამ შემადგენლობებით ითამაშეს:

19-წლამდელები: მაკარიძე, სარაჯიშვილი, გეთიაშვილი (ტეტუნაშვილი 50), სალარიძე (ჭადაშვილი 75), ხუციძე, თარხნიშვილი, ვ. ნემსაძე (იოსელიანი 46), ნ. ჯიშკარიანი (ზაქრაძე 80), ბერიძე (ხოკერაშვილი 46), ქანთარია.

გაგრა: თევდორაძე, ქაჯაია, მგელაძე, ლაცაბიძე, გაბუნია, შარიქაძე, გაბედავა, ჩუტკერაშვილი, კორიფაძე, ზ. მეტრეველი, ლ. მელქაძე.

ნუკრი ლოლაძე

საჯაიას ანჟიში ელიან ნავალოვსკის 4 ელოდება

გიორგი ნავალოვსკი

ღიღი შანსია, მახაჩყალას „ანჟიში“ კიდევ ერთი ქართველი გადავიდეს, რითაც მათი რიცხვი რვამდე გაიზრდება. ლაპარაკია „ზესტაფონიდან“ წასულ ედიკ საჯაიაზე.

საჯაია ეროვნული ჩემპიონატის წინა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი გახლდათ, მას „ზესტაფონი“ კონტრაქტის გაგრძელებასაც სთავაზობდა, თუმც ფეხბურთელმა იუარა და ახლა თავისუფალი აგენტია.

„ანჟის“ ქართველ მცველ გიორგი ნავალოვსკის კი რუსეთის პირველ ლიგაში ოთხმატჩიანი უქმობა მოუწევს. საქმე ისაა, რომ „ნავალას“ „ვოლგა“ — „ანჟის“ ნამატჩევს მეტოქე ფეხბურთელთან შეხლა-შემოხლა მოსვლია.

აქვე ვთქვათ, რომ გიორგი რუსული პირველი ლიგის პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

ილია ნანობაშვილი

ევროპელი ქართველობა აუსტრიას წინააღმდეგ

მუმლაძე გვპირდება: თავს დავდებთ!

„ვიტ ჯორჯია“ დღეს დილით ვენაში გაფრინდა. ვიტელებს ორ დღეში უეფას თასის მატჩი ელით ვენის „აუსტრიასთან“. შეგახსენებთ, უეფამ ჩვენს ქვეყანაში არსებული საომარი მდგომარეობის გამო უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა 28 აგვისტოს ერთ შეხვედრაში გაირკვევა. ვიტელთა საუეფასთასო მზადებაზე გუშინ მათ მთავარ მწვრთნელ **ნესტორ მუმლაძეს** გავესაუბრეთ.



ნესტორ მუმლაძე

მარცხენა ფლანგელი ფოტოები

— საქართველომ ძალიან მძიმე დღეები გამოიარა და ამ დროს ფეხბურთზე ფიქრი რთული იყო, მაგრამ „აუსტრიასთან“ მატჩისთვის მზადება არ შეგვიწყვეტია. საბედნიეროდ, ქვეყანაში ვითარება ცოტა ჩაწყნარდა და „ვიტ ჯორჯიაც“ გაათმაგებული ენერგიით ემზადება ავსტრიელებთან საომრად.

— ტრავმირებულები გყავთ?

— საბედნიეროდ, ყველა ჯანზეა.

— ეროვნულ ნაკრებში ითამაშეს ლექსო კვახაძემ და ირაკლი კლიმიაშვილმა. მათ გადაღლა ხომ არ ეტყობათ?

— არა, კვახაძემ და კლიმიაშვილმა გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშეს და ყველაფერი წესრიგშია.

— „აუსტრიამდე“ ერთი ამხანაგური მატჩი გამართეთ. მოყვარულთა ნაკრებთან 2:3 წაგეთ...

— რა თქმა უნდა, მარცხი სასიამოვნო არ არის, თუმცა ამ მატჩში შედეგს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენ სხვა რამეზე გავამახვილეთ ყურადღება. თანაც ბიჭები მოახლოებული შეხვედრისთვის თავს გაუფრთხილდნენ. ასე რომ, საგანგაშო არაფერი მომხდარა.

— ბოლო მატჩი „აუსტრიამაც“ წაგო შინაურ ჩემპიონატში ის შეხვედრა ხომ არ გინახავთ?

— არ მინახავს, თუმც სხვა ვიდეომასალა გვაქვს და გუნდთან ერთად გავარჩიეთ. მატჩამდე კიდევ გვექნება განხილვა.

— ერთმატჩიანი დაპირისპირება კარგია, თუ ცუდი?

— ორთამაშიან შეხლას, რა თქმა უნდა, თავისი პლუსები აქვს. პირველი მატჩიდან გამომდინარე, რაღაც დასკვნების გაკეთების საშუალება გეძლევა. ერთ თამაშში კი შეიძლება ყველაფერი მოხდეს...

— შანსებს როგორ აფასებთ?

— შანსებზე ლაპარაკი არ მიყვარს. თავისთავად, ავსტრიელები მასპინძლები არიან და ეს უპირატესობა აქვთ, თუმც ჩვენც ბოლომდე ვიბრძოლებთ და არაფერს დავიმობთ.

— საქართველოდან გულშემატკივრები თუ მიგყვებათ?

— საქართველოდან არა, მაგრამ ინფორმაცია მაქვს, რომ ავსტრიაში მცხოვრები ქართველების საკმაოდ დიდი რაოდენობა აპირებს თამაშზე მოსვლას. მეზობელი ქვეყნებიდანაც ჩამოვლენ. ძალიან გვინდა, ჩვენი ქვეყნისთვის ასეთ რთულ პერიოდში წარმატებას მივაღწიოთ და გპირდებით, რომ „ვიტ ჯორჯია“ „აუსტრიასთან“ თავს დადებს.

ნუკრი ლოლაძე



საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში“
ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მოგრძანდითი „საქართველოს ტელეკომის“ საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10**-ით

www.telecom.ge

ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡᲢᲘᲡ

1X2 ᲐᲛᲤᲡᲝᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲧᲣᲠᲛᲝᲙᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

ᲙᲝᲓᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲙᲝᲔᲤ-ᲢᲘ ᲡᲘᲡᲢ

— ვااა... ევროკუშირის პრეზიდენტიც გაიჩითა�ა...

— მე, ძმაო, კატეგორიულად მოვითხოვ „გრასჰოპერის“ აძინიქსის დაწერას „ლეხთან“ და რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას...

— ეი, სარკოზი, პესეუემ რო გატეხა ეხლა „სოშოსთან“, წილში იყავი, ტო?

— მე და ანგელა მერკელს „კოტბუსის“ იქსდვა და პესეუეს მეტი გვეწერა, მარა პარიზში არასწორად გაგვიგეს.

— გაზპრომის ტრუბასავით რო დამრგვალებულხარ, რუსის ჯარისკაცივით უგზოუკვლოდ რო დაეხეტები, მოდი, ერთი კაი თამაში გეცოდინება და გვითხარი, ტო!..

— რა უნდა გითხრა, ძმაო. ეგრე მეგონა „ტოტენჰემის“ ერთიანი „სანდერლენდთან“ და „არსენალის“ უეჭველი იქსდვა „ფულემთან“. ერთმანეთს გადავაბი ლონდონური გუნდების პონტები და... მამენტ მე გავხდი დასაბმელი. ერთმაც იყომარა და მეორემაც.

— ეგრეა, ტო. რუსი როჟა რო გაიჩითა ლონდონში, იმის მერე თამაშები ყირაობს.

— რომელი რუსი?

— ძია რომანა აბრამოვიჩი.

— რომანა-ყომარა.

— კაროჩე, ქვითარში ლონდონელების ჩაწერას, ჯობია საკუთარი კოორდინატების ჩაწერა და პირდაპირ ფულის გამზადება. „უილიამ ჰილიდან“ მოვლენ და მაყუთი ეგრევე უნდა გაატანო. არა, ტო?

— ჰილი, მილი და ხილბოსტნეული არ ვიცი, ძმაო. ერთი კი უეჭველი გავაიასნე. მეორე ტურში ყველა მაყუთზე ჩალიჩობს.

— რა პონტში?

— იმ პონტში, რო ჯერ ანგარიშებს დახედე, ტო! ნემცების ჩემპიონატში ცხრიდან ექვსი ნიჩია დასვეს. აბა, ბუნდესლიგა და ნიჩია გაგონილა? ინდაური და პლასტიკური ოპერაცია, ტო?

— ისე, მართალი ხარ. მანდ, მგონი, კლინსმანმა აურია. რაც ეგ მივიდა, ლოგიკები აღარა ჯდება. ლიჩნად თვითონ ხო ტეხავს და სხვებიც ჩაითრია, ძმაო, რო სპონტამ მარტო არ დარჩეს და მაგაზე არ იეჭვონ.

— კლინსმანი? შენ მარტო ეგ მოწვი და ნახადუ, იცი, რამდენ კლინსმანს გაგიშიფრავ?

— ვსმისლე?

— აი, ხვალ, მაგალითად, ბატე იმენა კლინსმანია. ცვეტში იყომარებს. პირველი თამაში სოფიის „ლევსკის“ ხო მოუგო გასვლაზე და ეხლა მაგარ გრუზშია, რო პირველი ბელარუსული გუნდი ლიგაში და ეგეთი აფიორები. შენა გგონია, რო ამერიკა და ევროპა ლუკაშენკოს ჩემპიონთა ლიგაში შეასუნინებს?

— მსაჯებს გამაზავენ?

— ეეე... რა ერთკუშიანი მიამიტი ხარ, ტო! ნიტო შტო გამაზავენ, უკვე გამაზულები არიან. ხვალ უეჭველი „ლევსკი“ ვარ და ეხლა გეოპოლიტიკური ანეკდოტები არ დაიწყო, გაიგე?

ᲙᲣᲨᲘ ᲙᲝᲨᲒᲐᲠᲘᲐ

ᲩᲔᲛᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ:
ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ.
001 ᲙᲣᲓᲠᲘᲐᲕᲪᲔᲕᲐ — ᲩᲐᲜ ᲘᲣᲜ ᲘᲐᲜᲘ
ᲨᲔᲓᲔᲒᲘ: ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲘ ᲝᲗᲮᲘᲕᲔ
ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ: ᲩᲝᲒᲜᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲥᲐᲤᲣᲚᲘ

ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲐᲛᲤᲡᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲛᲑᲗ ᲗᲣ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲠᲘᲒᲔᲑᲔᲜ ᲗᲔᲗᲠ ᲓᲐᲗᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲜᲓᲕᲘᲜᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲡ.

114140 *

ᲕᲐᲠ ᲐᲡᲔᲗ ᲬᲐᲡᲕᲚᲐᲡ?

„ᲠᲔᲐᲚᲛᲐ“ განაცხადა, რომ თუ რობინიოს მადრიდში დარჩენა არ უნდა, ძალად არავინ დააკავებს. სხვა სიტყვებით, ბრაზილიელი თავდამსხმელისთვის „ჩელსის“ გზა ხსნილია.

მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში მოლაპარაკებები „ჩელსისა“ და „რეალს“ შორის ჩიხში იყო შესული და რობინიოს პრემიერლიგაში გადასვლის საქმეც უიმედოდ ჩანდა, მაგრამ ახლა სიტუაცია შეიცვალა. რობინიომ „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონს „ჩელსიში“ ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარისთან გადასვლის სურვილი კიდევ ერთხელ გაუმჟღავნა.

მაშ, რამ შეიძლება შეუშალოს რობინიოს ოცნების ასრულებაში ხელი? თანხამ! რამონ კალდერონი ამბობს, რომ რობინიოს სხვა კლუბში გადასვლაში ხელს არ შეუშლის, მაგრამ თუ ტრანსფერი განხორციელდება, ეს „რეალის“ პირობებით მოხდება — რობინიო 120 მილიონი ღირს!

„მისი განცხადებები უდროო და არაადექვატური იყო, მაგრამ ჩვენი კლუბი ძალად არავის დაკავებას აპირებს. სხვა ამბავია, რომ მე, როგორც პრეზიდენტი, ვალდებული ვარ, ჩემი კლუბის ინტერესები სხვა პუნქტებში დავიცვა“.

რობინიო

რაც შეეხება „რეალის“ გერმანელ თავკაც ბერნდ შუსტერს, იგი ასე ამბობს: „ჩემთვის რობინიო იმავე ფეხბურთელად რჩება, რაც აქამდე იყო. ვფიქრობ, ის კარგად ხვდება, რომ წარმატების მიღწევა „რეალშიც“ შეუძლია. კარგი იქნება, თუ დარჩება და თან, რაც შეიძლება დიდხანს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენ ყველანი ეგოისტები ვართ და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ვლაპარაკობთ“.

ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲙᲘᲓᲘᲐ

ᲤᲝᲠᲗᲑᲝᲚᲘ

NHL. V ᲢᲣᲠᲘ

ᲰᲐᲘᲓᲣᲙᲘ — ᲡᲚᲐᲕᲘᲜᲘ 3:1; ᲖᲐᲓᲐᲠᲘ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2:3; ᲡᲘᲡᲕᲘᲢᲔ — ᲠᲘᲘᲪᲐ 0:1; ᲖᲐᲒᲠᲘᲑᲘ — ᲝᲡᲘᲘᲪᲘ 2:1; ᲪᲘᲑᲐᲚᲘᲐ — ᲘᲜᲢᲔᲠᲘ 4:3; ᲕᲐᲠᲢᲔᲪᲘ — ᲨᲘᲒᲜᲘᲪᲘ 2:1

დინამო	5	5	0	0	15:3	15
სლავენი	5	3	1	1	8:6	10
ზაგრები	5	3	0	2	7:5	9
ოსიეკი	5	2	2	1	8:6	8
ვარტეკსი	5	2	1	2	8:8	7
რიეკა	5	2	1	2	6:6	7
ჰაიდუკი	5	2	1	2	6:8	7
ციბალია	5	2	1	2	6:11	7
შიბენიკი	5	2	0	3	5:7	6
სესვეტე	5	1	1	3	4:6	4
ინტერი	5	1	1	3	11:14	4
ზადარი	5	0	1	4	5:9	1

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ

ᲐᲞᲔᲠᲢᲣᲠᲐ. V ᲢᲣᲠᲘ

ᲢᲔᲙᲝᲡᲘ — ᲜᲘᲙᲐᲯᲣᲐ 2:2; ᲡᲐᲜ ᲚᲣᲘᲡᲘ — ᲢᲘ�გᲠᲔᲡᲘ 1:0; ᲙᲠᲣᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ — ᲛᲝᲜᲢᲔᲠᲔᲘ 3:2; ᲘᲜᲓᲘᲝᲡᲘ — ᲢᲝᲚᲣᲙᲐ 1:1; ᲩᲘᲕᲐᲡᲘ — ᲡᲐᲜᲢᲝᲡᲘ 3:5; ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲔ — ᲐᲢᲚᲐᲡᲘ 2:2; ᲞᲣᲛᲐᲡᲘ — ᲞᲐᲩᲣᲙᲐ 3:1; ᲞᲣᲔᲑᲚᲐ — ᲛᲝᲠᲔᲚᲘᲐ 2:0; ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ — ᲮᲐᲒᲣᲐᲠᲔᲡᲘ 2:3

სან ლუისი	6	5	1	0	11:5	16
კრუს ასული	5	3	1	1	12:8	10
პუმასი	5	3	1	1	8:4	10
ტეკოსი	5	3	1	1	8:6	10
ატლანტე	5	2	3	0	7:5	9
სანტოსი	5	2	2	1	11:7	8
ტიგრესი	4	2	1	1	6:2	7
ტოლუკა	6	2	1	3	8:8	7
პუებლა	5	1	3	1	5:5	6
ნეკაჯსა	5	1	3	1	7:8	6
მორელია	5	1	3	1	4:5	6
ჩივასი	6	1	3	2	9:11	6
მონტერეი	5	1	2	2	9:10	5
ამერიკა	5	1	2	2	8:9	5
ატლასი	5	1	1	3	9:10	4
ხაგუარესი	5	1	1	3	5:13	4
პაჩუკა	5	0	2	3	5:9	2
ინდიოსი	5	0	1	4	3:10	1

ᲨᲞᲠᲐᲜᲘᲐ

ᲕᲘᲨᲐ ᲚᲘ�გᲐ. VI ᲢᲣᲠᲘ

ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ — ᲘᲚᲘᲩᲘᲕᲔᲪᲘ 2:0; ᲙᲐᲠᲞᲐᲢᲘ — ᲓᲜᲘᲞᲠᲝ 0:0; ᲙᲠᲘᲕᲑᲐᲡᲘ — ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ 1:1; ᲕᲝᲠᲡᲙᲚᲐ — ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲘ 1:0; ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲔᲪᲘ — ᲖᲐᲠᲘᲐ 1:3; ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 0:2; ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ დ — ᲢᲐᲕᲠᲘᲐ 2:1; ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ ზ — ᲚᲕᲝᲕᲘ 2:1

მეტალურგი დ	6	6	0	0	11:2	18
დინამო	6	4	1	1	12:5	13
მეტალისტი	6	3	3	0	10:4	12
ვორსკლა	6	3	2	1	7:4	11
ზარია	6	2	3	1	6:5	9
დნიპრო	6	2	3	1	4:4	9
მეტალურგი ზ	6	2	2	2	3:4	8
ჩერნომორეცი	6	2	1	3	7:6	7
შახტარი	6	1	3	2	6:6	6
კრივბასი	6	1	3	2	5:7	6
არსენალი	6	1	3	2	5:8	6
კარპატი	6	1	3	2	3:6	6
ლვოვი	6	1	2	3	3:5	5
ხარკოვი	6	0	4	2	3:7	4
ტავრია	6	1	1	4	5:10	4
ილიჩევეცი	6	1	0	5	3:10	3

ᲩᲘᲚᲔ

ᲙᲚᲐᲣᲡᲣᲠᲐ. IX ᲢᲣᲠᲘ

ᲐᲜᲢᲝᲤᲐ�გᲐᲡᲢᲐ 2:3 ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲐ

უნივ. დე ჩილე	9	6	2	1	22:10	20
ევერტონი	10	6	1	3	17:13	19
რეინჯერსი	10	5	3	2	15:13	18
კოლო კოლო	9	5	2	2	16:8	17
პალესტინო	10	4	3	3	14:12	15
ლა სერენა	9	3	5	1	20:14	14
ოჰიგინსი	9	4	2	3	17:14	14
კათოლიკა	9	4	2	3	14:13	14
უაჩიპატო	10	3	3	4	17:13	12
ანტოფაგასტა	10	4	0	6	11:18	12
უნივ. კონსეპს.	10	2	5	3	18:17	11
მორნინგი	9	2	5	2	12:14	11
აუდაქსი	9	2	5	2	10:12	11
კობრესალი	10	2	4	4	11:14	10
კობრელოა	9	2	3	4	12:16	9
ესპანოლა	8	2	3	3	7:13	9
ოსორნო	10	3	0	7	14:23	9
მელიპილია	9	2	2	5	10:15	8
ატლეტიკო	9	1	4	4	11:16	7
დ. კონსეპსიონი	0	0	0	0	0:0	0

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

ᲡᲔᲠᲘᲐ A. XXII ᲢᲣᲠᲘ

ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ MG 4:0 ᲐᲢᲚᲔᲢᲘᲙᲝ ᲞᲠ
ᲜᲐᲣᲢᲘᲙᲝ 1:1 ᲒᲠᲔᲛᲘᲝ
ᲕᲐᲡᲙᲣ 1:1 ᲑᲝᲢᲐᲤᲝ�გᲝ

გრემიო	22	13	6	3	38:15	45
პალმეირასი	22	12	4	6	38:27	40
კრუზეირო	22	12	3	7	34:23	39
ბოტაფოგო	22	11	5	6	32:20	38
სან პაულუ	22	10	7	5	38:25	37
ვიტორია	22	11	3	8	33:24	36
ფლამენგო	22	10	6	6	35:23	36
კურიტიბა	22	10	6	6	34:22	36
ინტერნასიონალი	22	8	6	8	26:26	30
რესიფე	22	8	5	9	22:26	29
ატლეტიკო MG	22	7	7	8	30:39	28
ფიგეირენსე	22	7	7	8	27:41	28
გოიასი	22	7	6	9	27:30	27
ვასკუ და გამა	22	7	5	10	36:40	26
ფლუმინენსე	22	6	5	11	26:31	23
ატლეტიკო PR	22	6	5	11	23:28	23
ნაუტიკო	22	6	4	12	22:36	22
პორტუგეზა	22	6	4	12	29:46	22
სანტოსი	22	5	7	10	26:36	22
იპატინგა	22	5	5	12	22:40	20

ᲐᲨᲨ

ᲛᲔᲘᲯᲝᲠᲚᲘ�გᲐ. XXI ᲢᲣᲠᲘ

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ 3:0 ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ

ნიუ ინგლენდი.	21	11	4	6	29:27	37
კოლამბუსი	21	11	4	6	34:28	37
ჩიკაგო	21	10	5	6	28:16	35
ჰიუსტონი	21	8	8	5	29:25	32
ვაშინგტონი	21	10	1	10	36:34	31
ნიუ იორკი	21	8	7	6	28:28	31
სოლტ ლეიკი	21	7	6	8	25:27	27
დალასი	21	6	8	7	29:27	26
ტორონტო	21	7	5	9	22:27	26
კანზასი	21	6	8	7	22:28	26
ლოს ანჯელესი	21	6	6	9	40:43	24
ჩივასი	21	6	6	9	26:31	24
კოლორადო	21	7	3	11	29:30	24
სან ხოსე	21	5	7	9	19:25	22

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ

I ᲚᲘᲗᲒᲐ. VI ᲢᲣᲠᲘ

ᲪᲔᲚᲘᲔ — ᲛᲐᲠᲘᲑᲝᲠᲘ 3:3; ᲓᲠᲐᲕᲐ — ᲙᲝᲞᲔᲠᲘ 2:1; ᲞᲠᲘᲛᲝᲠᲘᲔ — ᲠᲣᲓᲐᲠᲘ 3:1; ᲜᲐᲤᲢᲐ — ᲜᲝᲕᲐ �გᲝᲠᲘᲪᲐ 1:0; ᲓᲝᲛᲟᲐᲚᲔ — ᲚᲘᲣᲑᲚᲘᲐᲜᲐ 4:0

დომჟალე	6	4	2	0	11:2	14
ნაფტა	6	4	1	1	8:6	13
მარიბორი	6	3	2	1	13:9	11
დრავა	6	3	1	2	10:8	10
ცელიე	6	2	3	1	9:6	9
პრიმორიე	6	2	2	2	8:7	8
რუდარი	6	2	1	3	7:8	7
კოპერი	6	1	1	4	7:12	4
ნოვა გორიცა	6	1	1	4	6:13	4
ლიუბლიანა	6	0	2	4	5:13	2

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ

ᲐᲞᲔᲠᲢᲣᲠᲐ. III ᲢᲣᲠᲘ

ᲠᲝᲡᲐᲠᲘᲝ — ᲙᲝᲚᲝᲜᲘ 0:1; ᲮᲘᲛᲜᲐᲡᲘᲐ ლპ — ᲣᲠᲐᲙᲐᲜᲘ 1:0; ᲑᲐᲜᲤᲘᲚᲓᲘ — ᲠᲘᲕᲔᲠ პლეიტი 2:1; ᲮᲘᲛᲜᲐᲡᲘᲐ Ხ — ᲜᲘᲣᲔᲚᲡᲘ 1:0; ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ — ᲒᲝᲓᲝᲘ 2:1; ᲕᲔᲚᲔᲡᲘ — ᲢᲘ�გᲠᲔ 1:1; ᲠᲐᲡᲘᲜᲒᲘ — ᲘᲜᲓᲔᲞᲔᲜᲓᲘᲔᲜᲢᲘ 1:1; ᲑᲝᲙᲐ ᲯᲣᲜᲘᲝᲠᲡᲘ — ᲚᲐᲜᲣᲡᲘ 2:1; ᲡᲐᲜ ᲚᲝᲠᲔᲜᲡᲝ — ᲔᲡᲢᲣᲓᲘᲐᲜᲢᲔᲡᲘ 3:0; ᲡᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘ — ᲐᲠᲒ. ᲯᲣᲜᲘᲝᲠᲡᲘ 0:0

კოლონი	3	2	1	0	6:2	7
ტიგრე	3	2	1	0	4:2	7
ბოკა ჯუნიორსი	2	2	0	0	6:1	6
არსენალი	3	2	0	1	6:3	6
სან ლორენსო	3	2	0	1	5:2	6
ინდეპენდიენტე	3	1	2	0	2:1	5
რივერ პლეიტი	3	1	1	1	4:3	4
ლანუსი	3	1	1	1	4:3	4
სან მარტინი	3	1	1	1	2:1	4
ბანფილდი	3	1	1	1	5:5	4
არგ. ჯუნიორსი	3	1	1	1	4:4	4
ხიმნასია ლპ	3	1	1	1	2:2	4
ნიუელსი	2	1	0	1	1:1	3
გოდოი	3	1	0	2	4:5	3
როსარიო	3	1	0	2	3:5	3
ურაკანი	3	1	0	2	1:3	3
ხიმნასია ხ	3	1	0	2	2:8	3
ველესი	3	0	2	1	2:5	2
რასინგი	3	0	1	2	1:4	1
ესტუდიანტესი	3	0	1	2	4:8	1

ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

თუ სასწაული არ მოხდა...

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — სპარტა (ჩეხეთი) (2:1)
ვისლა (პოლონეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) (0:4)
არტმედია (სლოვაკეთი) — იუვენტუსი (იტალია) (0:4)

ხუან ლაპორტა

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის დღევანდელი სამი საპასუხო მატჩიდან ინტრიგა რეალურად მხოლოდ ერთს აქვს შამორჩენილი. თუმცა, ისიც ძნელი სავარაუდოა, რომ პრაღის „სპარტა" ორი კვირის წინანდელი საშინაო მარცხის (1:2) შემდეგ ათენში „პანათინაიკოსის" სასურველი შედეგით დამარცხებას და ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას შეძლებს.

პრაღაში ბერძნები შტეპან კუჩერას ავტოგოლით დაწინაურდნენ. მარეკ კულიჩმა ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ 20 წლის მოზამბიკელმა სიამუ მატე ჯუნიორმა ათენელებს გამარჯვება მოუტანა და თბილისის „დინამოს" დამმარცხებელი „პანათინაიკოსი" ცალი ფეხით ჯგუფურ ეტაპზეა.

სასწაული უნდა მოხდეს, „იუვენტუსმა" და „ბარსელონამ" შესაბამისად, „არტმედიასა" და „ვისლასთან" ოთხბურთიანი უპირატესობა გაფლანგონ.

მიუხედავად იმისა, რომ „იუვემ" ტურინის „სტადიო ოლიმპიკოზე" „არტმედია" დამავჯერებლად ამოავსო ოთხი უპასუხო გოლით, „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელი კლაუდიო რანიერი მაინც ფრთხილობს.

„ჩვენი უპირატესობა საგრძნობია, მაგრამ საქმეს ბოლომდე მიყვანა უნდა. მაქსიმალურად კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ. შეგახსენებთ, რომ „არტმედია" ის გუნდია, რომელმაც შინ გლაზგოს „სელტიკს" 5:0 მოუგო და ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. ამას არც მაშინ ელოდა ვინმე" — თქვა რანიერიმ.

ლიონელ მესისა და ვიქტორ სანჩესს „ბარსელონა" დასვენების საშუალებას აძლევს. სხვა მხრივ კი კატალონიელები კრაკოვში უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდნენ.

სხვათა შორის, ბოლო დღეებში „ბარსელონასა" და მისი ფანების ყურადღება „ვისლასთან" დღევანდელ მატჩზე კი არა, გენერალურ ასამბლეაზე იყო კონცენტრირებული, რომელსაც კლუბის პრეზიდენტ ხუან ლაპორტას ბედი უნდა გადაეწვიტა.

შეგახსენებთ, რომ ივლისის დასაწყისში ლაპორტას აუჯანყდნენ და კრებაზე მის წინააღმდეგ 60-მა პროცენტმა მისცა ხმა, მაგრამ ოპოზიციურ ძალებს ხმების 6,67 პროცენტი დაკლდათ მის გადასაყენებლად.

ამის მერე ლაპორტამ თავისი ბედი გენერალურ ასამბლეას გადასცა — რასაც ის გადაწყვეტს, მეც იმას ვიზამო.

გენერალური ასამბლეის სხდომაზე ლაპორტამ ხმების 55,83 პროცენტი მიიღო, ანუ იგი კიდევ ორი წლით პოსტზე რჩება.

კოკი კანდელაკი

იყო ბერბატოვი სტადიონზე?

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა" და მისმა მწვრთნელმა, ესპანელმა ხუანდე რამოსმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ შაბათს, „სანდერლენდთან" შეხვედრა მათი გუნდის ბულგარელმა ვარსკვლავმა დიმიტარ ბერბატოვმა პროტესტის ნიშნად კი არ გამოსტოვა (როგორც თავად განაცხადა), არამედ მათ დასაჯეს და არ ათამაშეს.

კლუბსა და ფეხბურთელს შორის არსებული კონფლიქტის არსი „სარბიელის" მკითხველთათვის კარგად არის ცნობილი: ბერბატოვი ყველა ხერხით ცდილობს „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლას, რასაც, ერთი შეხედვით, არც „სპურზის" ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგება, მაგრამ მხარეები თანხაზე ვერ შეთანხმებულან. ლონდონელები ბულგარელის სანაცვლოდ 30 მილიონ გირვანქას ითხოვენ, მანჩესტერელები კი 25-ზე მეტს არ იძლევიან.

უფრო ზუსტად, თავიდან მანჩესტერელებმა „ტოტენჰემს" 20 მილიონი გირვანქა შესთავაზეს და მხოლოდ პირველი უარის შემდეგ აწიეს თანხა 25-მდე, თუმცა კოლეგებს ვერც ამით მოულბეს გული.

როგორც ლონდონელთა მწვრთნელი ხუანდე რამოსი აცხადებს, ბერბატოვის „სანდერლენდთან" მოედანზე გაყვანას არანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგან თავდამსხმელი თამაშზე არ ფიქრობდა და ყურადღება ჰქონდა გაფანტული.

სხვათა შორის, რამოსმა ბერბატოვი პრემიერლიგის პირველ ტურში, მიდლსბროში ათამაშა, თუმცა მხოლოდ შემცვლელად, შემდეგ კი თავდამსხმელმა ბულგარეთის ნაკრების შემადგენლობაში ბოსნია-ჰერცეგოვინას გაუტანა ორი გოლი.

„მან ბულგარეთის ნაკრების შემადგენლობაში, რასაკვირველია, საუცხოოდ ითამაშა — ამბობდა რამოსი რამდენიმე დღის წინ — ვნახოთ, იზამს თუ არა იმავეს „სანდერლენდთან" შეხვედრაში".

როგორც ხედავთ, „სანდერლენდთან" შეხვედრაში ბერბატოვი საერთოდ შემადგენლობაში ვერ მოხვდა.

ჟურნალისტებმა იკითხეს, იყო კი ბერბატოვი „ტოტენჰემისა" და „სანდერლენდის" შეხვედრაში სტადიონზე, თუნდაც მაყურებლის რანგში.

„ვერაფერს მოგახსენებთ, ეს კლუბის თანამშრომლებს უნდა ჰკითხოთ" — მიუგო რამოსმა.

პაპუნა კედია

მიკამ ტვინის შერყევა მიიღო

„მანჩესტერ სიტის" ახალგაზრდა კაპიტანმა მიკა რიჩარდსმა პრემიერლიგის მეორე ტურში, „ვესტ ჰემთან" შეხვედრისას თავის თანაგუნდელ ტალ ბენ-ჰაიმთან შეტაკების შედეგად ტვინის შერყევა მიიღო. ფეხბურთელი სტადიონიდან პირდაპირ მანჩესტერის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, თუმცა, საბედნიეროდ, „ქალაქელთა" დამრიგებელ მარკ ჰიუზის განცხადებით, რიჩარდსის ტრავმა არცთუ სერიოზული გამოდგა. ექიმების აზრით, მას მსუბუქი ფორმის შერყევა აქვს.

ფერდინანდი და სანდერლენდი

ლონდონის „ვესტ ჰემის" მცველი ენტონ ფერდინანდი „სანდერლენდში" გადავა. ეს ინფორმაცია „ჩაქუჩების" თავკაცმა ალან კერბიშლიმ დაადასტურა: დირექტორთა საბჭო ფერდინანდის ტრანსფერს დათანხმდა, თანაც ეს ყველაფერი ჩემი თანდასწრებით მოხდა. არ ვიცი, ენტონი კონტრაქტს სად და როდის გაფორმებს, მაგრამ ტრანსფერი ნამდვილად შედგება" — აღნიშნა ინგლისელმა სპეციალისტმა. ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ „შავ კატებს" ფერდინანდის შეძენა რვა მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. „ვესტ ჰემმა" კი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სასწრაფოდ მისი შემცვლელი უნდა მოძებნოს, რადგან გუნდმა ტრავმების გამო უკვე დაკარგა დენილ გებიდონი, ჯეიმს კოლინზი, ჯეიმს ტომკინსი, ჯორჯ მაკარტნი და ჯონათან სპექტორი.

ბრაუნი ფერგიუსონს ეპატიჟება

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის გორდონ ბრაუნის განცხადებით, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე დიდი ბრიტანეთის ოლიმპიურ ნაკრებს, შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა უთავკაცოს. ამისთვის მხოლოდ შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციებთან თანხმობაა საჭირო. „მე უკვე შევხვდი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას და ფიფას ხელმძღვანელობას და ამ წინადადების მხარდაჭერაც ვიგრძენი. ახლა გაერთიანებული სამეფოს დანარჩენი ქვეყნების ასოციაციებს უნდა შევუთანხმდეთ. ასეთი ნაკრების სათავეში ჩადგომის ყველაზე მეტი შანსი ალექს ფერგიუსონს აქვს. ვიცი, რომ ფორმალურად იგი ამ თანამდებობის დაკავებაზე თანახმაა" — განაცხადა ბრაუნმა.

კოხი ცალი ყურით დაყრუვდა

ვენის „რაპიდის" მეკარე გეორგ კოხი ცალი ყურით დაყრუვდა მას შემდეგ, რაც კვირას თანაქალაქელი „აუსტრიასთან" შეხვედრისას ტრიბუნიდან ნასროლმა პეტარდამ მის გვერდით ჩაიქროლა. „გეორგს ცალ ყურში არაფერი ესმის და საკმაო ტკივილს გრძნობ. არ არის გამორიცხული, რომ ასეთ მდგომარეობაში სიცოცხლის ბოლომდე დარჩეს" — აღნიშნა კლუბის ექიმმა ბენო ზიფკომ. კოხის ტრავმის გამო მატჩი 15 წუთით შეწყდა. საბოლოოდ კი „რაპიდმა" ეს თამაში 3:0 მოიგო. სტადიონზე დამონტაჟებულმა კამერებმა დააფიქსირეს დამნაშავე და მატჩის დამთავრებისთანავე ვენის პოლიციამ მისი დაპატიმრება შეძლო.

სალა ზებრა გახდა

სერია A-ს „უდინეზემ" მცველ ლუიჯი სალასთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 34 წლის ფეხბურთელმა გასული სეზონი გენუის „სამპდორიაში" გაატარა, „ფრიულიზე" კი თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდა. ადრე სალას „ბარიში", „ატალანტასა" და „კიევოში" უთამაშია.

ლაზეტიჩმა სამშობლოს მიაშურა

იტალიური „ტორინოს" ყოფილი ნახევარმცველი ნიკოლა ლაზეტიჩი სამშობლოში დაბრუნდა და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან", რომელშიც 12 წლის წინ კარიერა დაიწყო, კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება ორწლიანია. დავამატოთ, რომ 30 წლის ფეხბურთელმა ბელგრადულ კლუბში 2-ნომრიანი მაისურა მიიღო.

30 მილიონი დი მარიაში

ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ, არგენტინის ნაკრების ნიჭიერი ნახევარმცველით, ანხელ დი მარიათი ერთბაშად რვა ევროპული გრანდი დაინტერესდა. „რეალი", „ბარსელონა", „მანჩესტერი, „ჩელსი", „არსენალი", „მილანი", „ინტერი" და „იუვენტუსი". ამჟამად დი მარია ლისაბონის „ბენფიკაში" ირიცხება და პორტუგალიელები ფეხბუროთელის 30 მილიონ ევროზე ნაკლებ ფასად გასხვისებას არ აპირებენ. ანხელი „ბენფიკაში" გასულ ზაფხულს „როსარიოდან" 6 მილიონ ევროდ გადავიდა.

გამარჯვების ფასი

მართალია, „ლივერპულის" ნახევარმცველმა სტივენ ჯერარდმა პრემიერლიგის ორივე ტურში მოედანზე 90 წუთი დაჰყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერ არ დაუწყია. სტივენს საზარდულის ტრავმა აწუხებს, რის გამოც ინდივიდუალური პროგრამით ემზადება, სრულფასოვან ვარჯიშს კი მხოლოდ რამდენიმე კვირაში შეუდგება. უკანასკნელ ტურში, „მიდლსბროსთან" შეხვედრისას „წითლების" კაპიტანმა 90-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა.

არჩილ კოგანიძე

მაურინიუ: აი, იტალიური ფეხბურთი რომა მარცხითაც ამაყია

მირკო ვუჩინიჩი (მარცხნივ) რომ არა, „ინტერი“ ძირითადშივე მოიგებდა

იტალია

სუპერთასი

ინტერი 2:2 (6:5) რომა

1:0 მუნტარი (18), 1:1 დე როსი (59), 2:1 ბალოტელი (83), 2:2 ვუჩინიჩი (90)

ინტერი: სესარი, მაიკონი, კამბიასო, ბურდისო (რივასი 89), მაქსველი, ძანეტი, სტანკოვიჩი, მუნტარი, ფიგუ (ბალოტელი 66), იბრაჰიმოვიჩი, მასსინი (სიმონესი 70)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

რომა: დონი, რიისე (ტონეტო 77), მექსესი, ჟუანი, კასეტი, პისარო, დე როსი, აკვილანი (ოკაკა ჩუკა 86), პეროტა (ტოტი 84), ბაპტისტა, ვუჩინიჩი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ვუჩინიჩი, პისარო, იბრაჰიმოვიჩი, კასეტი, სტანკოვიჩი

მსაჯი: საკანი

უალრესად დრამატული და ბრწყინვალე სანახავი გამოდგა იტალიის სუპერთასის მატჩი „ინტერსა“ და „რომას“ შორის. ეს მატჩი ბევრი რამის გამო იყო განსაკუთრებული. რითი დავიწყოთ... ეს გახლდათ პირველი ოფიციალური შეხვედრა კლუბთა ახალწვეულებისთვის და, შესაბამისად, „ნერაძურის“ ახალი მთავარი მწვრთნელის ჟოზე მაურინიუსთვის.

ეს იყო პირველი მატჩში, რომელიც „რომამამ“ მისი დიდი პრეზიდენტის, ფრანკო სენსის გარდაცვალების მერე ჩაატარა. ახალმომჯობინებული ფრანჩესკო ტოტი კი მინდორს დაუბრუნდა — შეცვლაზე, 84-ე წუთზე შევიდა, როცა „ვლადიატორები“ 1:2-ს აგებდნენ.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს გახლდათ იტალიის ბოლო 2-3 წლის გუნდების დაპირისპირება. კალჩოპოლის სკანდალიდან დღემდე, ჩემპიონატშიც, თასზეც და სუპერთასზეც მთავარი ბრძოლები სწორედ „ინტერსა“ და „რომას“ შორის იმართებოდა.

ამ მატჩში იმდენი სახიფათო მომენტი შეიქმნა, რომ მათი სათითაოდ ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ამიტომ მოკლედ ვთქვათ, რომ „რომამ“ უკეთ დაიწყო, მაგრამ ნელ-ნელა „ნერაძურიმაც“ გამოიღვიძა და წინაც გავიდა.

მე-18 წუთზე ფილიპ მექესმა კი სცადა დუგლას მაიკონის დარტყმულისგან თავისი გუნდის გადარჩენა, მაგრამ „პორტსმუთიდან“ ნაყიდი სულეი ალი მუნტარი იქვე გაჩნდა და ძლიერი დარტყმით დააწინაურა „ინტერი“. ტაიმი ასეც მორჩა.

მილანელები ცოტა უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ლუჩანო სპალეტის შეგირდებმა მაინც შეძლეს გათანაბრება. 59-ე წუთზე დანიელ დე როსიმ მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან დიდებულად გაისროლა, ჟულიო სეზარმა ბურთს ხელიც კი შეახო, მაგრამ...

გატანილმა გოლმა „ჯალოროსი“ კი გამოაცოცხლა, მაგრამ მაურინიუმ ტაქტიკაშიც და შემადგენლობაშიც მცირე ცვლილებები მოახდინა, რამაც 83-ე წუთზე შედეგი გამოიღო. შეცვლაზე შესულმა მარიო ბალოტელიმ „ინტერი“ კიდევ ერთხელ დააწინაურა. 18 წლის თავდამსხმელი „რომას“ მცველებს დაუძვრა, რომლებიც თამაშგარეს შექმნას ლამობდნენ და ალეშანდერ დონისაც აჯობა.

„ნერაძურის“ გამარჯვებას წინ თიქოს აღარაფერი ედგა, მაგრამ ბოლო წამებზე, დავიდ პისაროს პასის შემდეგ, მირკო ვუჩინიჩის თავურმა მიზანს უწია. ბურთი მზად დეიან სტანკოვიჩს შეეხო და ისე შევარდა კარში.

დამატებით დროში ორივე გუნდს რამდენჯერმე შეეძლო გატანა, მაგრამ საქმე მაინც პენალტებამდე მივიდა და თერთმეტმეტრიანების სერია მთელ მატჩზე არანაკლებ დრამატული გამოდგა.

„ინტერის“ მესამე პენალტი სტანკოვიჩმა გააფუჭა: ბურთი ძელს გაარტყა. „რომას“ მეხუთე თერთმეტმეტრიანის შესასრულებლად ბურთთან ტოტი მივიდა და რომ გაეტანა, „ჯალოროსი“ სუპერთასს მოიგებდა, მაგრამ კაპიტანის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა.

ესტებან კამბიასომ ანგარიში გაათანაბრა. გაიტანეს პისარომ და ლუის ხიმენესმაც. აი, ჟუანის დარტყმა კი ჟულიო სეზარმა აიღო და გამარჯვების პენალტი „ინტერის“ ვეტერანმა კაპიტანმა ხავიერ ძანეტიმ შეაგდო (6:5).

ჟოზე მაურინიუ: „ძალიან გვინდოდა ამ ტიტულის მოგება და ვფიქრობ, გამარჯვება დავიმსახურეთ კიდეც, რადგან 120 წუთის განმავლობაში მეტოქეზე მეტი შევქმენით. ვთლი, რომ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ „რომა“ ქების გარდა არაფერს იმსახურებს. ყველასთვის, ვინც ამბობს, იტალიური ფეხბურთი მოსაწყენიაო, ეს მატჩი კარგი მაგალითი იყო, იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ცდებიან. გავიდა ოთხი გოლი, შეიქმნა უამრავი მომენტი და საქმე პენალტებამდე მივიდა. დრამატიზმის ნაკლებობაზე ნამდვილად ვერ ვისაუბრებთ. ყველა „ინტერისა“ და „რომას“ დარად რომ თამაშობდეს, ფეხბურთი ბევრად უფრო მიმზიდველი იქნებოდა. საერთოდ, პენალტებში ფაქტობრივად არასოდეს მიმართლებდა. „ჩელსისთან“ ერთად წავაგე ინგლისის თასზე და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. მერე ჩემი აწყობილი გუნდით სხვა მწვრთნელი დამარცხდა ლიგის ფინალში. იმედია, ამ უიღბლობას წერტილი დაესვა. თუმცა მე ამ გამარჯვების მხოლოდ თანამონაწილე ვარ, რადგან სკუდეტო „ნერაძურის“ რობერტო მანჩინიმ მოაგებინა და ეს ტიტული, გარკვეულწილად, მასაც ეკუთვნის“.

„უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ „ინტერში“ ჩემი თავგადასავალი გოლით დავიწყე და სუპერთასი მოვიგეთ. ბრწყინვალე თანაგუნდელები მყავს და ფანებიც საოცარნი არიან. ყველას დიდი მადლობა. მწვრთნელზე კარგის მეტი რა მეთქმის. ჭკვიანია და იცის, რა უნდათ ფეხბურთელებს და რას ითხოვს მათგან. მაურინიუ კარგი ადამიანია. ჩვენ კი ვარჯიშზე მისვლა გვიხარია“ — თქვა მუნტარიმ.

„რომას“ დირექტორი ბრუნო კონტი: „რასაკვირველია, ტიტულის მოგება და მისი ფრანკო სენსის ხსოვნისთვის მიძღვნა გვინდოდა. თუმცა მჯერა, იგი ამაყობს ბიჭებით, რადგან მათ მართლაც ბრწყინვალედ ითამაშეს. ეს ორი დიდი გუნდის კორექტული და სამაგალითო მატჩი იყო. „ინტერი“ კომპლიმენტებს იმსახურებს. ჩვენ კი განსაკუთრებით კარგად მეორე ტაიმში გავისარჯეთ, მაგრამ როცა საქმე პენალტებამდე მიდის... ეს ლატარიაა“.

გიორგი კაკაბაძე

მსპანეთი

სუპერთასი
საპასუხო მატჩი

რეალი 4:2 ვალენსია (2:3)

0:1 სილვა (33), 1:1 ვან ნისტელროი (50პ), 2:1 რამოსი (77), 3:1 დე ლა რედი (87), 4:1 იგუაინი (89), 4:2 მორიენტესი (90)

რეალი: კასილიასი, რამოსი, პეპე, ჰაინცე, ტორესი (დრენტე 63), ვან დერ ვაარტი, დიარა, გუტი (დე ლა რედი 78), რაული (იგუაინი 80), ვან ნისტელროი, რობენი

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

ვალენსია: ჰილდებრანდი, მიგელი, ალბიოლი (მორიენტესი 81), ალექსისი, მორეტი, ბარახა, ალბელდა, ხოაკინი (პაბლო ერნანდესი 67), სილვა, მატა (ვისენტე 70), ვილია

მწვრთნელი: უნაი ენერი

გაფრთხილება: ალბიოლი, ვან ნისტელროი, ალექსისი

გაძევება: ვან დერ ვაარტი (40), ვან ნისტელროი (73)

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

ეს მხოლოდ ბერნაბეუზე ხდება

თამაშიც ასეთი უნდა! მადრიდის „რეალმა“ ცხრა კაცით სამი გოლი გაუტანა „ვალენსიას“ და საბოლოო ჯამში 4:2 მოუგო, რამაც სამეფო კლუბს ესპანეთის სუპერთასი მოაგებინა, რადგანაც „მესტალიაზე“ პირველი შეხვედრა „ღამურებმა“ 3:2 მოიგეს, ორი მატჩის ჯამში კი ანგარიში 6:5 გახდა „რეალის“ სასარგებლოდ.

მადრიდელებს საკუთარი „სანტიაგო ბერნაბეუს“ დიდი იმედი ჰქონდათ და ქომაგებმაც მხურვალედ უგულშემატკივრეს, მაგრამ „რეალისთვის“ ყველაფერი ისე ცუდად დაიწყო, ვერავინ იფიქრებდა, რომ ბერნდ შუსტერის შეგირდები თამაშის შემობრუნებას შეძლებდნენ.

„ვალენსიამ“ თავისი პირველივე რეალური მომენტი გამოიყენა. 33-ე წუთზე მშვენიერი კომბინაცია დავიდ სილვამ დაბალი და ზუსტი დარტყმით დაგვირგვინა. მე-40 წუთზე კი „რეალი“ ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდა — რაფაელ ვან დერ ვაარტი მატას ეუხეშა, რის გამოც მინდვრიდან მიაბრძანეს. ასე ჩაუმწარდა ჰოლანდიელს დებიუტი „ბერნაბეუზე“.

სამეფო კლუბმა მეორე ტაიმის დებიუტშივე გაათანაბრა, რაულ ალბიოლმა რუუდ ვან ნისტელროის თავური ხელით შეაჩერა და ჰოლანდიელმა პენალტი თავადვე აქცია გოლად.

კიდევ ერთი ჰოლანდიელის, არიენ რობენის აქტიურობის წყალობით „რეალი“ ათი კაცით თავდასხმაში ცუდად არ გამოიყურებოდა, მაგრამ მადრიდელები თითქოს გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდნენ, როცა 73-ე წუთზე ვან ნისტელროიმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მინდორი ასევე დროზე ადრე დატოვა.

მიუხედავად ამისა, ყველასთვის მოულოდნელად, 77-ე წუთზე „რეალი“ წინ გავიდა. მაჰამადუ დიარას თავურის მერე ბურთი ხარიხას კი მოხვდა, მაგრამ სერხიო რამოსი იქვე გაჩნდა და 2:1. ეს ანგარიში უკვე სამეფო კლუბს აძლევდა ხელს და „ვალენსიას“ გააქტიურება მოუხდა.

პარადოქსია: „ღამურებს“ გოლი სჭირდებოდათ, ცხრაკაციან მეტოქეს ეთამაშებოდნენ, მაგრამ ბურთები მათ კარში შევარდა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ შუსტერის ეს ოქროს ცვლილება — 78-ე წუთზე მან ხოსე მარია გუტი რუბენ დე ლა რედით შეცვალა, ბოლო ორ წუთში რაული ნაცვლად გონსალო იგუაინი შეიყვანა.

87-ე წუთზე დე ლა რედმა დაახლოებით 25 მეტრიდან გაუტანა ტიმო ჰილდებრანდს. აქედან ორ წუთში კი იგუაინმა ალექსის რუანოს შეცდომით ისარგებლა და ანგარიში 4:1 გახადა.

შეცვლაზე შესულმა ფერნანდო მორიენტესმა ბოლო წამებზე დავიდ ვილიას პასით სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ „ვალენსიას“ მეტის გასაკეთებლად აღარც დრო ეყო და აღარც ძალა.

„რეალის“ მეკარე იკერ კასილიასი: „მსგავსი თამაშების შემობრუნება მხოლოდ „სანტიაგო ბერნაბეუზეა“ შესაძლებელი. პირელ ტაიმში დაცვაზე ზედმეტად ვიყავით ორიენტირებულნი და შეტევაში სიმწვავე გვაკლდა. ბევრ უსარგებლო გრძელ პასს ვაკეთებდით. ბედის ირონიით, ორივე წითელმა ბარათმა ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედა. ორივე გაძევებამ გამოგვაფხიზლა. ასეთი პრობლემები უნდა დავძლიოთ და მატჩების დებიუტიდანვე სათანადოდ ავთამაშდეთ ხოლმე. ბოლო დროს ისე გამოდის, რომ სანამ კაცს არ გაგვიგდებენ, კარგად ვერ ვირჯებით“.

„ეს ნამდვილი საოცრებაა. ყველაფერი გავიღეთ, რათა მოგვეგო. მთლიანობაში გუნდმა კარგად ითამაშა. თუმცა მიზნის მიღწევა ძალიან ძნელი იყო, რადგან „ვალენსია“ ბრწყინვალე გუნდია. 9 კაცით ვიმარჯვეთ, რაც ამტკიცებს, რომ უმაღლესი კლასის გუნდი გვყავს. უაღრესად ბედნიერები ვართ და გვსურს, ამ წარმატებით დავტკბეთ“ — თქვა რობენმა.

„ვალენსიას“ მწვრთნელი უნაი ემერი: „წავაგეთ, მიუხედავად იმისა, რომ პირველი შეხვედრა მოგებული გვქონდა და მეტოქემ ბოლო 15-20 წუთი 9 კაცით ჩაატარა. თუმც „რეალი“ ის გუნდია, რომელსაც თავისი ქომაგების მხარდაჭერით ასეთი მატჩების შემოტრიალება შეუძლია. შეტევაში აშკარად ცუდად გავისარჯეთ და დაცვაშიც იყო პრობლემები. ისღა დაგვრჩენია, მეტოქეს გამარჯვება მივულოცოთ, შეცდომებზე ვისწავლოთ და მომავალზე ვიფიქროთ.“

გიორგი კაკაბაძე

კარგად აღზრდილი ვარსკვლავი



„გარდიანის“ მიმომხილველის, ემი ლოურენსის აზრით, ზაფხული, რომელიც ახლა იწურება, პრემიერლიგის წამყვანი ფეხბურთელებისთვის ჭკუისსასწავლებელი არ გამოდგა. მაგალითად, ფრენკ ლამპარდმა, ემანუელ ადებაიორმა და არა მარტო მათ, თავიანთი კლუბების ემბლემების კოცნა მხოლოდ მას მერე დაიწყეს, რაც ამ კლუბების ოფისებიდან ახალი, უწინდელზე გაცილებით მომგებიანი კონტრაქტები გამოიტანეს. რას იზამ, ასეთია თანამედროვე პროფესიული ფეხბურთი და ამ ვარსკვლავებს რომ ჰკითხო, ალბათ გიპასუხებენ, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრების მიერ შემოთავაზებული წესებით თამაშობდნენ.

კრისტიანუ რონალდუ, გარეთ ბერი... დიდძალი ფულის შოვნის სანახევრო შანსიც თუ ჩაგივარდება, რატომ არ უნდა ისარგებლო?

მაგრამ, დღევანდელ ეპოქაშიც კი მოიძებნებიან ფეხბურთელები, რომლებიც შემოსავლის გაზრდას ხმაურიანი საგაზეთო სათაურებისა და მავანი წყაროების მიერ გავრცელებული უსიამოვნო ჭორების დაუხმარებლადაც ახერხებენ. ასეთი რამ, მაგალითად, 2006 წელს, ყოველგვარი ხმაურის გარეშე მოახერხა სესკ ფაბრეგასმა. მან და „არსენალის“ შეფებმა მშვიდად და წყნარად მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას, რომელიც კლუბისა და ვარსკვლავის რვაწლიან თანამშრომლობას გულისხმობს. არადა, 2006-ში, ამ ესპანელ ნახევარმცველს უკვე ჰქონდა საკმარისი სახელი და რეპუტაცია საიმისოდ, რომ ევროპის რომელიმე სუპერკლუბში გადასვლა ეცადა და ამით მაზანდა აეწია. ფაბრეგასი ასეთი ქცევისთვის მეტისმეტად კარგად აღზრდილი ადამიანი გამოდგა.

დღეს, 2006-ის ზაფხულიდან ორი წლის შემდეგ, სესკ ფაბრეგასმა მორიგი სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდი „მეთოფეებთან“ ერთად მუხლჩაუხრელ შრომაში გაატარა. მას, რასაკვირველია, შეეძლო რონალდუს, ლამპარდის, ადებაიორის და მსგავსთა კამპანიას შეერთებოდა, მაგრამ ასეთი რამ არ უკადრია. დიახ, ესპანური გაზეთები მისი შესაძლო ტრანსფერის შესახებ უამრავ ჭორს ავრცელებდნენ, ოღონდ პასუხად ერთსა და იმავეს იღებდნენ: მე „არსენალის“ ერთგული ვარ! სხვა სიტყვებით: მუჩოს გრასიას, ბატონებო, ხელფასის მომატება რომ მინდოდეს, საკუთარ შეფებს თქვენი დახმარების გარეშეც დაველაპარაკებოდი.

და ფაბრეგასის შემყურე უნებურად ჩნდება კითხვა: რატომ არ შეიძლება, დანარჩენებიც მისნაირად მოიქცენ?

სესკ ფაბრეგასი გასულ კვირას ერთხელაც დარწმუნდა, რომ საწუწუნო ნამდვილად არაფერი სჭირს: „არსენალის“ საქველმოქმედო პროგრამის ფარგლებში ის კიბოიან ყმაწვილთა საუნივერსიტეტო საავადმყოფოს სტუმრობდა. შორიდან რომ შეგეხედათ, 21 წლის ვარსკვლავი და მისი თანამოსაუბრენი ჩვეულებრივად ისხდნენ და ახალგაზრდულ თემებზე, მაგალითად, ფეხბურთსა და მუსიკაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ... აი, მაგალითად, მისმა ერთერთმა თანამოსაუბრემ, ენტონი უაითჰედმა მეთვრამეტე დღეობამდე სულ რამდენიმე დღით ადრე აღმოაჩინა, რომ კიბო სჭირდა. ფაბრეგასი ენტონის ისტორიამ აშკარად შეძრა.

„ჩვენს ასაკში ხშირად გვგონია, რომ ყველაფერი ვიცით, მაგრამ, მერწმუნეთ, არაფერიც არ ვიცით. დიახ, ეს სიმართლეა — განაცხადა „არსენალის“ ვარსკვლავმა საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ — რასაკვირველია, ადამიანები ოცნების ახდენისთვის ვიბრძვით, მაგრამ იმავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძალიან ბედნიერები უნდა ვიყოთ იმით, რაც გვაქვს. აი, ენტონი იბრძვის თავისი ოცნების ასახდენად და ამ ოცნებას კიბოს დამარცხება ეწოდება. მან უამრავი რამ გადაიტანა. ეს ყმაწვილი მკურნალობდა საავადმყოფოებში, სადაც მის გარშემო მხოლოდ 60-70 წლის ხალხი ტრიალებდა. შეიძლება ითქვას, ხმის გამცემიც არ ყავდა. ძალიან მინდა ენტონი შევაქო. ჩვენს ასაკში ადამიანი ამდენს რომ გადიტან და მაინც გაიღიმებ, განსაკუთრებული ხასიათით ხარ დაჯილდოვებული“.

ერთი სიტყვით, ფაბრეგასი ბედნიერია — ის საწვრთნელ მოედანს დაუბრუნდება და ოთხშაბათს „ტვენტეს“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპის მატჩში ითამაშებს.

ბევრი ამბობს, რომ „მეთოფეთა“ გუნდში კრიზისია, თუმცა მეოთხე ნომერი გრძნობს, რომ ეს ასე არ უნდა იყოს. მართალია, ლონდონელთა გუნდი გამოცდილმა ნახევარმცველებმა, ჟილბერტო სილვამ, მატიე ფლამინიმ და ალექსანდრ გლებმა დატოვეს, ფაბრეგასი პანიკის მიზეზს ვერ ხედავს:

„რა თქმა უნდა, ისინი საუცხოო ფეხბურთელები არიან და ფაქტია, მათ ჩვენი გუნდი დატოვეს, მაგრამ ბოსმა იცის, რასაც აკეთებს. გარდა ამისა, გთხოვთ, სწორად გამიგოთ: როგორც გლები, ასევე ფლამინი, ჩემი მეგობრები არიან და მათთან ტელეფონით ყოველდღე ვლაპარაკობ, მაგრამ მე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, კაცს „არსენალი“ დაეტოვებინოს და სუპერვარსკვლავად დარჩენილიყოს. იცით, „არსენალი“ „არსენალია“. ამ კლუბს აქვს რაღაც ისეთი, რაც სხვას არა აქვს. ვფიქრობ, ჩვენ ყველანი ამას ძალიან უნდა ვუფრთხილდებოდეთ“.

ბუნებრივია, ჩნდება ინტერესი: რატომ არის სესკ ფაბრეგასი „არსენალის“ ასე ერთგული? რით არის ეს ერთგულება განპირობებული?

„ესპანეთსა და იტალიაში უამრავი მეგობარი მყავს. ისინი თავიანთი კლუბების ამბებს მიყვებიან და მათ მონათხრობს რომ ვუსმენ, ვრწმუნდები, რომ ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა. მე დიდი უპირატესობა მაქვს — არსენალელი გახლავართ. მე ამ უპირატესობის ხელიდან გაშვებას არ ვაპირებ. ჩემი მიზანი ამ კლუბთან ერთად ჯილდოების მოპოვებაა. მინდა გამოცდილება აქ გავიმდიდრო. ვუყურებ მსოფლიო ფეხბურთს და ვხედავ, რომ ასე სულ ერთი-ორი გუნდი თუ თამაშობს. მე აქ ყოფნა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ვგრძნობ, რომ „არსენალი“ ჩემი სახლია“.

რა არის ეს, სენტიმენტალური გაცხადება? მაგრამ, მოდი ნუ დაგავიწყდება, რომ „არსენალთან“ ერთად ჯილდოების მოპოვებაზე ლაპარაკობს არა უბრალოდ ნიჭიერი ფეხბურთელი, არამედ ის, ვინც ამ ზაფხულს ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მერედა, განა შეიძლება ასე მწარედ ცდებოდეს ხალხი, ვინც ამტკიცებს, რომ „არსენალს“ საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს და ისინი მრავალი ჯილდოს მოსაპოვებლად არიან მზად?

„ჩვენ „ჩელსის“ მსგავსად სხვადასხვა ნაკრების 25 წევრისგან შექმნილი გუნდი არ ვართ — განმარტავს ფაბრეგასი — ჩვენ უფრო პატარა ჯგუფი ვართ, რადგან ბოსს სურს, თითოეული ჩვენთაგანი მის გუნდში თავს ბედნიერად გრძნობდეს და ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსი ჰქონდეს. რაც შეეხება გასულ სეზონს, ეს უბრალო უიღბლობა გახლდათ. აბა, წარმოიდგინეთ, როგორ უნდა ითამაშო წარმატებულად, როდესაც მუდმივად ექვსი-შვიდი ფეხბურთელი გყავს დაშავებული?

დღეს ჩვენთან ასეთი ვითარებაა: საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავს, მაგრამ ნახევარდაცვაში მაინც ვისურვებდი ისეთ მოთამაშეს, რომელიც შეგვმატებდა იმ თვისებას, რაც ამწუთას გვაკლია. მაგალითად, ჩემთვის იდეალური იქნებოდა ხაბი ალონსის გადაბირება. ის ჩემი თანამემამულეა, მეგობარია, დიდი პროფესიონალია, ბურთს საუცხოოდ ფლობს, დაცვით ფუნქციებს ჩინებულად ასრულებს და გოლებიც გააქვს. ამასთან ის გამოცდილია და თან, მხოლოდ 26 წლის გახლავთ.

ხშირად ამბობენ, რომ „არსენალი“ დიდი წარმატებებისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა გუნდია. ვფიქრობ, ეს არგუმენტი მთლად სწორი არ არის. აიღეთ, მაგალითად ევროპის ჩემპიონატი. ჩვენი, ესპანეთის ნაკრები, შეჯიბრებაზე, ახალგაზრდულობის მიხედვით, მეორენი ვიყავით, მაგრამ ჩემპიონები გავხდით. ვფიქრობ, „არსენალისთვის“ უმთავრესი ერთსულოვნებაა. მთავარია, ფეხბურთელებმა და ფანებმა ყველა ღონე ვიხმაროთ, რათა ჯიქურ ვიაროთ იქითკენ, რაც მიზნად გვაქვს დასახული“.

შემდეგ კი ასეთი თემა ჩამოვარდა: 2006 წელს „არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონასთან“ წააგო. „ბარსელონა“ სესკ ფაბრეგასის ბავშვობის გუნდია... მეორენ მხრივ, „მეთოფეებს“ ჯილდოს აღმართვამდე სულ 14 წუთიღა აკლდათ.

„სხვათა შორის, ის ამბავი სულაც არ მაგონდება ხშირად — პასუხობს არსენალელი და თავად უკვირს — ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ამაზე არ ვდარდობ. რა თქმა უნდა, წაგებამ მაშინ ყველა დაგვრთგუნა, მაგრამ მალევე ვიგრძენით, რომ ამის მიუხედავად, ჩვენ ძალიან დიდი კლუბის წარმომადგენლები ვიყავით და ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვეძლო. „ბარსელონას“ წინააღმდეგ, ფაქტობრივად, მთელი მატჩის განმავლობაში ათი კაცით თამაში და თან ისე, რომ მეტოქემ ანგარიში თავის სასიკეთოდ ბოლო წუთებშიღა მოატრიალა... ეს საამაყო იყო“.

პაპუნა კედია

სარგებელი ᲓᲐ კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		30 აგვისტო						
20:30	53	არსენალი-ნიუკასლი	1.40	3.70	8.50	1.01	1.20	2.57
18:00	55	ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი	1.80	3.20	4.30	1.15	1.26	1.83
18:00	57	ვესტ ჰემი-ბლეკბერნი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
18:00	58	მიდლსბრო-სტოკი	1.60	3.30	5.70	1.07	1.24	2.08
18:00	60	ჰალი-უიგანი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
		31 აგვისტო						
18:00	52	სანდერლენდი-სიტი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
19:00	54	ასტონ ვილა-ლივერპული	2.85	3.20	2.30	1.50	1.27	1.33
16:30	56	ჩელსი-ტოტენჰემი	1.45	3.60	8.00	1.03	1.22	2.48
		იტალია. სერია A						
		30 აგვისტო						
20:00	273	უდინეზე-პალერმო	2.15	3.00	3.60	1.25	1.34	1.63
22:30	277	სამპდორია-ინტერი	4.10	3.00	1.95	1.73	1.32	1.18
		31 აგვისტო						
17:00	269	რომა-ნაპოლი	1.65	3.20	6.00	1.08	1.29	2.08
17:00	270	კიევო-რეჯინა	2.20	2.90	3.40	1.25	1.33	1.56
17:00	271	მილანი-ბოლონია	1.30	4.40	10.00	1.00	1.15	3.05
22:30	272	ფიორენტინა-იუვენტუსი	2.60	3.00	2.65	1.39	1.31	1.40
17:00	274	კატანია-ჯენოა	2.40	3.00	2.95	1.33	1.32	1.48
17:00	275	ტორინო-ლეჩე	1.85	3.10	4.50	1.15	1.31	1.83
17:00	276	კალიარი-ლაციო	2.70	3.00	2.65	1.42	1.33	1.40
17:00	278	ატალანტა-სიენა	2.00	3.00	3.90	1.20	1.32	1.69
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		30 აგვისტო						
22:00	297	ესპანიოლი-ვალიადოლიდი	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
		31 აგვისტო						
20:00	290	ნუმანსია-ბარსელონა	6.60	3.60	1.52	2.32	1.23	1.06
21:00	291	ბილბაო-ალმერია	2.10	3.20	3.50	1.26	1.31	1.67
21:00	292	რასინგი-სევილია	2.65	3.20	2.55	1.44	1.29	1.41
21:00	293	სპორტინგი-ხეტაფე	2.60	3.20	2.60	1.43	1.29	1.43
00:00	294	ვალენსია-მალიორკა	1.75	3.40	4.70	1.15	1.27	1.97
21:00	295	ბეტისი-უელვა	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
21:00	296	ოსასუნა-ვილიარეალი	2.80	3.20	2.40	1.49	1.29	1.37
21:00	298	დეპორტივო-რეალი	3.50	3.20	2.05	1.67	1.29	1.24
21:00	299	ატლეტიკო-მალაგა	1.47	3.60	7.00	1.04	1.21	2.37
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		30 აგვისტო						
21:00	352	კაენი-პსჟ	2.75	3.00	2.60	1.43	1.33	1.39
21:00	353	გრენობლი-მონაკო	2.55	2.90	2.90	1.35	1.35	1.45
21:00	355	ლორიანი-ოსერი	1.90	3.10	4.25	1.17	1.31	1.79
23:00	356	მარსელი-სოშო	1.50	3.60	7.00	1.05	1.23	2.37
21:00	357	ნანსი-ლე ავრი	1.80	3.10	4.80	1.13	1.30	1.88
21:00	358	ნიცა-ვალენსიენი	1.85	3.20	4.25	1.17	1.28	1.82
21:00	361	ნანტი-ლე მანი	2.40	3.00	3.00	1.33	1.33	1.50
		31 აგვისტო						
19:00	354	ლილი-ბორდო	3.00	3.00	2.40	1.50	1.33	1.33
23:00	359	სტ.ეტიენი-ლიონი	3.00	3.00	2.40	1.50	1.33	1.33
19:00	360	ტულუზი-რენი	2.35	3.00	3.10	1.31	1.33	1.52
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		29 აგვისტო						
22:45	410	ვიტესი-გრონინგენი	2.35	3.30	2.90	1.37	1.29	1.54
		30 აგვისტო						
20:45	411	ტილბურგი-აიაქსი	4.60	3.70	1.70	2.05	1.24	1.16
21:45	412	ნაიმეგენი-გრააფსხაპი	1.75	3.50	4.40	1.16	1.25	1.94
21:45	413	როდა-ტვენტე	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
22:45	414	უტრეხტი-პსვ	3.70	3.30	1.90	1.74	1.25	1.20
		31 აგვისტო						
16:30	415	სპარტა-დენ ჰააგი	1.95	3.30	3.60	1.22	1.26	1.72
16:30	416	ჰერაკლესი-ფეიენოორდი	4.00	3.40	1.85	1.83	1.26	1.19
16:30	417	ვოლენდამი-ჰერენვენი	3.20	3.30	2.15	1.62	1.28	1.30
18:30	418	ალკმაარი-ბრედა	1.80	3.40	4.10	1.17	1.25	1.85
		დანია. სუპერლიგა						
		31 აგვისტო						
17:00	520	ოდენსე-რანდერსი	1.65	3.60	5.35	1.13	1.26	2.15
17:00	521	ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი	2.70	3.40	2.40	1.50	1.27	1.40
17:00	522	ესბიერგი-ჰორსენსი	1.80	3.50	4.20	1.18	1.25	1.90
17:00	523	ორჰუსი-ნორდსიელანდი	2.00	3.30	3.60	1.24	1.28	1.72
17:00	524	მიდტიულანდი-ვეილე	1.45	4.10	7.20	1.07	1.20	2.61
17:00	525	სიონდერიისკე-ოლბორგი	4.20	3.50	1.80	1.90	1.25	1.18
		შვედეთი. ალსვენსკა						
		26 აგვისტო						
21:45	573	გეფლე-ჰელსინგბორგი	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
		შვედეთი. სუპერეტა						
		26 აგვისტო						
21:00	584	ვესბი-ჰეკენი	2.65	3.20	2.40	1.44	1.25	1.37
21:00	585	ბუნკეფლო-ფალკენბერგი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
		ფინეთი. 2 ლიგა						
		26 აგვისტო						
19:30	610	ატლანტისი-ჰამენლინა	2.75	3.30	2.20	1.50	1.22	1.32
		უეფა. ჩემპიონთა ლიგა						
		26 აგვისტო						
22:45	1	პანათინაიკოსი-სპარტა	1.55	3.70	5.85	1.09	1.22	2.26
22:45	11	ვისლა-ბარსელონა	5.80	3.70	1.55	2.25	1.22	1.09
22:45	12	პეტრჟალკა-იუვენტუსი	5.70	3.50	1.60	2.16	1.24	1.09
		27 აგვისტო						
20:00	2	ბატე-ლევსკი	2.50	3.30	2.65	1.42	1.28	1.46
21:00	3	კაუნასი-ოლბორგი	2.50	3.20	2.70	1.40	1.29	1.46
21:45	4	დინამო კ-სპარტაკი მ	2.00	3.30	3.50	1.24	1.27	1.69
22:00	5	სტიაუა-გალათასარაი	2.35	3.20	2.90	1.35	1.29	1.52
22:00	6	ფენერბაჰჩე-პარტიზანი	1.25	4.80	12.00	1.00	1.13	3.42
22:15	7	ბაზელი-გიმარაეში	1.90	3.30	4.00	1.20	1.28	1.80
22:45	8	ატლეტიკო-შალკე	1.80	3.50	4.20	1.18	1.25	1.90
22:45	9	მარსელი-ბრანი	1.20	5.30	15.00	1.00	1.11	3.91
22:45	10	ოლიმპიაკოსი-ანორთოსისი	1.17	6.50	12.00	1.00	1.06	4.21
22:45	13	სლავია-ფიორენტინა	2.90	3.20	2.35	1.52	1.29	1.35
23:00	14	არსენალი-ტვენტე	1.20	5.80	14.00	1.00	1.10	4.10
23:00	15	ლივერპული-სტანდარდი	1.20	6.00	13.00	1.00	1.09	4.10
22:45	16	დინამო ზ-შახტიორი დ	2.45	3.30	2.75	1.40	1.29	1.50
		უეფა. უეფას თასი						
		26 აგვისტო						
21:00	19	ლოკომოტივი სოფ-ბორაცი	1.45	3.90	5.80	1.05	1.16	2.33
21:00	20	ნორდსიელანდი-ქუინი	1.35	4.10	7.50	1.01	1.14	2.65
		28 აგვისტო						
18:00	21	მოსკოვი-ლეგია	1.50	3.80	5.30	1.07	1.16	2.21
18:25	22	მიდტიულანდი-სიტი	4.00	3.50	1.75	1.86	1.21	1.16
20:00	23	შმონა-ლიტექსი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
20:00	24	ჰაპოელი თ ა-ვოივოდინა	1.80	3.40	3.75	1.17	1.21	1.78

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:15	25	ზრინსკი-ბრაგა	3.80	3.40	1.80	1.79	1.22	1.17
20:30	26	ბელუპო-არისი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
20:30	27	ვიკინგი-ჰონკა	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
20:30	28	ჰერტა-ინტერბლოკი	1.15	6.50	11.00	1.00	1.04	4.08
20:30	29	ვასლუი-მეტალურგსი ლ	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
21:00	30	კალმარი-გენტი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
21:00	31	რუსენბორგი-იურგორდენი	1.55	3.60	4.90	1.08	1.17	2.07
21:00	32	ლილესტრიომი-კოპენჰაგენი	2.75	3.20	2.35	1.47	1.26	1.35
21:00	33	ჩერნო მორე-მაკაბი ნეთანია	1.85	3.25	3.60	1.17	1.22	1.70
21:00	34	ომონია-აეკ	3.30	3.40	1.90	1.67	1.20	1.21
21:30	35	შტურმი-ციურიხი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
21:30	36	ბრიონდბიუ-ჰაკა	1.20	6.00	10.00	1.00	1.07	3.75
21:30	37	ჟილინა-ლიბერეცი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
23:00	38	ასტონ ვილა-პენარფორდური	1.07	8.00	15.00	1.00	1.00	5.21
22:45	39	ჰაიდუკი-დეპორტივო	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
22:15	40	ბელინცონა-დნეპრი	2.70	3.30	2.25	1.48	1.22	1.33
22:00	41	გრასჰოპერი-ლეხი	1.85	3.40	3.40	1.19	1.19	1.70
22:00	42	ბეშიქთაში-შიროკი ბრიეგი	1.15	6.50	11.00	1.00	1.04	4.08
22:30	43	რენი-სტაბეკი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
22:30	44	ზალცბურგი-სუდუვა	1.15	6.50	12.00	1.00	1.04	4.21
22:30	45	ეტო გიორი-შტუტგარტი	5.50	3.70	1.50	2.21	1.17	1.06
22:00	46	დებრეცენი-იანგ ბოიზი	2.40	3.30	2.55	1.38	1.23	1.43
22:15	47	ცრვენა ზვეზდა-აპოელი ნიკ	1.40	3.90	6.50	1.03	1.15	2.43
22:45	48	სტ პატრიკსი-ელფსბორგი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
23:00	49	ნაპოლი-ვლაჟნია	1.10	7.00	13.00	1.00	1.01	4.55
		უეფა. სუპერთასი						
		29 აგვისტო						
22:45	738	მანჩესტერი-ზენიტი	1.60	3.40	5.30	1.08	1.22	2.07
		ინგლისი. თასი						
		26 აგვისტო						
22:45	715	იფსვიჩი-კოლჩესტერი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
22:45	716	ბარნლი-ოლდემი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
22:45	717	კარდიფი-დონსი	1.70	3.40	4.35	1.13	1.22	1.90
22:45	718	ჩელტენემი-სტოკი	4.20	3.50	1.75	1.90	1.23	1.16
22:45	719	ქოვენთრი-ნიუკასლი	3.60	3.30	1.95	1.72	1.26	1.22

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	720	ქრიუ-ბრისტოლი	3.50	3.30	1.95	1.69	1.25	1.22
22:45	721	ჰარტლპული-ვესტ ბრომვიჩი	3.60	3.40	1.90	1.74	1.24	1.21
22:45	722	ლიდსი-კრისტალ პალასი	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
22:45	723	პრესტონი-დერბი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
22:45	724	ქპრ-კარლაილი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
22:45	725	როტერჰემი-ვულვერჰემპტონი	3.90	3.40	1.85	1.81	1.25	1.19
22:45	726	საუთჰემპტონი-ბირმინგემი	2.90	3.30	2.10	1.54	1.21	1.28
22:45	727	სუონსი-ჰალი	2.70	3.20	2.45	1.46	1.28	1.38
22:45	728	უოტფორდი-დარლინგტონი	1.55	3.70	5.50	1.09	1.20	2.21
22:45	729	უიგანი-ნოტსი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
23:00	730	ბოლტონი-ნორთჰემპტონი	1.45	3.70	6.00	1.04	1.16	2.28
23:00	731	მიდლსბრო-იოვილი	1.30	4.30	8.00	1.00	1.11	2.79
23:00	732	რედინგი-ლუტონი	1.55	3.60	5.00	1.08	1.18	2.09
		27 აგვისტო						
22:45	733	ჰადერსფილდი-შეფილდი	2.90	3.30	2.10	1.54	1.21	1.28
22:45	734	ნოტინგემი-სანდერლენდი	3.00	3.30	2.05	1.57	1.21	1.26
22:45	735	ვესტ ჰემი-მაკლესფილდი	1.20	5.00	10.00	1.00	1.07	3.33
23:00	736	ფულემი-ლესტერი	1.65	3.60	5.00	1.13	1.24	2.09
23:00	737	ბლექბერნი-გრიმსბი	1.25	5.50	9.00	1.01	1.09	3.41
		შოტლანდია. თასი						
		26 აგვისტო						
22:45	703	კოუდენბითი-დანდი იუნ	7.00	4.30	1.35	2.66	1.13	1.02
22:45	704	დანდი-პარტიკი	1.75	3.50	3.80	1.16	1.19	1.82
22:45	705	დანფერმლაინი-ალოა	1.50	4.00	4.80	1.09	1.14	2.18
22:45	706	ჰამილტონი-კლაიდი	1.50	3.80	5.00	1.07	1.15	2.15
22:45	707	ჰიბერნიანი-მორტონი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
22:45	708	ლივინგსტონი-სტ ჯონსტონი	2.35	3.40	2.50	1.38	1.21	1.44
22:45	709	რეითი-ფოლკირკი	4.00	3.60	1.70	1.89	1.19	1.15
22:45	710	სტ მირენი-დამბარტონი	1.25	5.50	8.00	1.01	1.08	3.25
		27 აგვისტო						
22:45	711	არბროთი-ინვერნესი	5.50	4.00	1.45	2.31	1.14	1.06
22:45	712	ეარი-აბერდინი	5.00	3.80	1.50	2.15	1.15	1.07
22:45	713	ბრეჩინი-კილმარნოკი	4.35	3.60	1.65	1.96	1.19	1.13
22:45	714	ჰართსი-ერდრი	1.25	4.80	8.50	1.00	1.08	3.06

ბოლი:ყვავილი-10თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყვავილად)

17001	პანათინაიკოსი-სპარტა	1.85	1.95
17011	ვისლა-ბარსელონა	1.85	1.95
17012	პეტრჟალკა-იუვენტუსი	1.85	1.95
17002	ბატე-ლევსკი	1.85	1.95
17003	კაუნასი-ოლბორგი	1.85	1.95
17004	დინამო კ-სპარტაკი მ	1.85	1.95
17005	სტიაუა-გალათასარაი	1.85	1.95
17006	ფენერბაჩე-პარტიზანი	1.85	1.95
17007	ბაზელი-გიმარაეში	1.85	1.95
17008	ატლეტიკო-შალკე	1.85	1.95
17009	მარსელი-ბრანი	1.85	1.95
17010	ოლიმპიაკოსი-ანორთოსისი	1.85	1.95
17013	სლავია-ფიორენტინა	1.85	1.95
17014	არსენალი-ტვენტე	1.85	1.95
17015	ლივერპული-სტანდარდი	1.85	1.95
17016	დინამო ზ-შახტიორი დ	1.85	1.95

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	პანათინაიკოსი-სპარტა	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11011	ვისლა-ბარსელონა	8.00	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	2.20
11012	პეტრჟალკა-იუვენტუსი	8.00	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	2.20
11002	ბატე-ლევსკი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11003	კაუნასი-ოლბორგი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11004	დინამო კ-სპარტაკი მ	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11005	სტიაუა-გალათასარაი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11006	ფენერბაჩე-პარტიზანი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11007	ბაზელი-გიმარაეში	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11008	ატლეტიკო-შალკე	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11009	მარსელი-ბრანი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11013	სლავია-ფიორენტინა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11014	არსენალი-ტვენტე	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11015	ლივერპული-სტანდარდი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11016	დინამო ზ-შახტიორი დ	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

14001	პანათინაიკოსი-სპარტა	1.30	2.50
14011	ვისლა-ბარსელონა	2.50	1.30
14012	პეტრჟალკა-იუვენტუსი	2.50	1.30
14002	ბატე-ლევსკი	1.85	1.95
14003	კაუნასი-ოლბორგი	1.85	1.95
14004	დინამო კ-სპარტაკი მ	1.70	2.20
14005	სტიაუა-გალათასარაი	1.80	2.00
14006	ფენერბაჩე-პარტიზანი	1.08	2.90
14007	ბაზელი-გიმარაეში	1.70	2.20
14008	ატლეტიკო-შალკე	1.65	2.30
14013	სლავია-ფიორენტინა	2.00	1.80
14016	დინამო ზ-შახტიორი დ	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი ბოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	პანათინაიკოსი-სპარტა	3.00	2.80	2.00
15011	ვისლა-ბარსელონა	3.00	2.80	2.00
15012	პეტრჟალკა-იუვენტუსი	3.00	2.80	2.00
15002	ბატე-ლევსკი	3.00	2.80	2.00
15003	კაუნასი-ოლბორგი	3.00	2.80	2.00
15004	დინამო კ-სპარტაკი მ	3.00	2.80	2.00
15005	სტიაუა-გალათასარაი	3.00	2.80	2.00
15007	ბაზელი-გიმარაეში	3.00	2.80	2.00
15008	ატლეტიკო-შალკე	3.00	2.80	2.00
15013	სლავია-ფიორენტინა	3.00	2.80	2.00
15016	დინამო ზ-შახტიორი დ	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16001	პანათინაიკოსი-სპარტა	1.17	4.10
16011	ვისლა-ბარსელონა	3.60	1.23
16012	პეტრჟალკა-იუვენტუსი	3.60	1.23
16002	ბატე-ლევსკი	1.80	1.85
16003	კაუნასი-ოლბორგი	1.80	1.85
16004	დინამო კ-სპარტაკი მ	1.40	2.55
16005	სტიაუა-გალათასარაი	1.65	2.05
16006	ფენერბაჩე-პარტიზანი	1.05	5.70
16007	ბაზელი-გიმარაეში	1.34	2.80
16008	ატლეტიკო-შალკე	1.30	3.00
16009	მარსელი-ბრანი	1.02	6.70
16013	სლავია-ფიორენტინა	2.05	1.65
16014	არსენალი-ტვენტე	1.02	6.70
16015	ლივერპული-სტანდარდი	1.02	6.70
16016	დინამო ზ-შახტიორი დ	1.75	1.85

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეიტინგო ადი-ჩადი



სეზონის ბოლო სლემტურნირის, ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობის დაწყების წინ პროფესიონალ ჩოგბურთელთა მორიგი რეიტინგები გამოქვეყნდა, რომლებშიც, ისევე როგორც ერთი კვირის წინ, 17 ჩვენებურია — ექვსი კაცი და თერთმეტი ქალი.

ქართველ კაცთა კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანი სიახლეა — ტრავმებით გატანჯულმა ლადო ჩიხლაძემ მორიგი სარეიტინგო ქულები დაკარგა, ერთბაშად 165 საფეხურით დაბლა დაიწია და შედეგად, საქართველოს პირველი ჩოგნის წოდება ირაკლი ლაბაძემ დაიბრუნა.

ქალებში აღსანიშნავია სოფო შაფათავას მორიგი წინსვლა. სოფომ კიდევ ექვსი პოზიცია მოიგო და საკარიერო ჭერი 246-ე საფეხურამდე ასწია. კარიერის უმაღლეს ადგილზეა სოფო ქვაცაბაიაც, რომელმაც ერთი კვირის წინანდელთან შედარებით ორი ნაბიჯით წინ წაიწია.

კაცები

696(-1) ირაკლი ლაბაძე	26
852(-165) ლადო ჩიხლაძე	15
979(0) ლაზარე კუხალაშვილი	9
1062(-4) ნოდარ ითონიშვილი	7
1551(-10) დემეტრე თაქთაქიშვილი	1
1551(-10) ბექა ბუჩუკური	1

ქალები

210(+2) მაკა ჩახნაშვილი	139
214(+2) ანა ტატიშვილი	137
246(+6) სოფო შაფათავა	112
492(-2) თინა ყავლაშვილი	34
523(0) ოქსანა კალაშნიკოვა	31
590(-1) მანანა შაფაქიძე	24
653(-1) სალომე დევიძე	19
666(+2) სოფო ქვაცაბაია	18
733(-1) ეკა გორგოძე	14
942(+5) მაგდა ოქრუაშვილი	6
949(+4) სოფო მელიქიშვილი	6

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	6700
2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	5930
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	5105
4. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	2865
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2700
6. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	2415
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	1975
8. ენდი როდიკი (აშშ)	1845
9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	1725
10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	1670
11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1615
12. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1595
13. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	1440
14. ივო კარლოვიჩი (ხორვატია)	1405
15. ტომი რობრედო (ესპანეთი)	1360
16. ჟილ სიმონი (საფრანგეთი)	1350
17. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა)	1343
18. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	1305
19. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	1265
20. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	1225

საჩემპიონო რბოლა

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	1175
2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	785
3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	721
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	387
5. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	380
6. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	322
7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	294
8. ენდი როდიკი (აშშ)	279
9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	256
10-11. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	238
10-11. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	238
12. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	236
13. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა)	222
14. ჟილ სიმონი (საფრანგეთი)	221
15. იგორ ანდრეევი (რუსეთი)	209
16. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	200
17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	194
18. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	192
19. მარინ ჩილიჩი (ხორვატია)	190
20. ტომი რობრედო (ესპანეთი)	188

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	3612
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	3515
3. სერენა უილიამსი (აშშ)	3341
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3181
5. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3131
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	3070
7. დინარა საფინა (რუსეთი)	3047
8. ვინუს უილიამსი (აშშ)	2586
9. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	2230
10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	2117
11. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	2076
12. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	1847
13. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	1635
14. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	1593
15. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1542
16. აგნეს სუვავი (უნგრეთი)	1489
17. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1415
18. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)	1403
19. ფლავია პენეტა (იტალია)	1335
20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)	1202

საჩემპიონო რბოლა

1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	2970
2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	2821
3. სერენა უილიამსი (აშშ)	2680
4. დინარა საფინა (რუსეთი)	2673
5. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2515
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2405
7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1932
8. ვინუს უილიამსი (აშშ)	1856
9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1805
10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1735
11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	1310
12. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)	1298
13. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1241
14. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	1196
15. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1139
16. ფლავია პენეტა (იტალია)	1093
17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	1086
18. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)	1081
19. ნადია პეტროვა (რუსეთი)	1018
20. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	946

ჩილიჩი, ვოზნიაკი, შაფაროვა

კაცები
ნიუ ჰევენი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 708 000 დოლარი

ნახევარფინალი
მარინ ჩილიჩი (6, ხორვატია) — ლუკა გრეგორჩიჩი (სლოვენია) 6:3 6:2; მარდი ფიში (8, აშშ) — ფერნანდო ვერდასკო (1, ესპანეთი) 6:0 1:6 6:3

ფინალი
ჩილიჩი — ფიში 6:4 4:6 6:2

ზედიზედ მესამე კვირაა, ტურნირს თინეიჯერი იგებს. მოგეხსენებათ, გასულ 14 დღეში 19 წლის არგენტინელმა ხუან მარტინ დელ პოტრომ იხეირა ზედიზედ ლოს ანჯელესსა და ვაშინგტონში, აი, კვირას კი მარინ ჩილიჩის ჯერი დაღგა, რომელმაც ნიუ ჰევენის ფინალში მარდი ფიში სამ სეტში დაამარცხა და კარიერაში თავისი პირველი ტიტული გაინაღდა. ჩილიჩი უკვე მერვე მეჩოგნეა, ვინც წლეულს თავისი პირველი ტურნირის მოგება შეძლო.

„რა თქმა უნდა, გახარებული ვარ. პირველი ტიტული ხომ განსაკუთრებით სასიხარულოა. ფინალი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მიხარია, რომ ყველა საჭირო მომენტში მოწოდების სიმაღლეზე აღმოვჩნდი“ — განაცხადა ახალგამომცხვარმა ჩემპიონმა, რომელიც ახლა საკმაოდ მიუახლოვდა ტოპ-ოცეულს — ამ გამარჯვებით რეიტინგში ის 24-ე ადგილამდე აღზევდა.

ქალები
ნიუ ჰევენი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 დოლარი

ნახევარფინალი
ანა ჩაკვეტაძე (1, რუსეთი) - ამელი მორესმო (საფრანგეთი) 6:3 3:6 6:1; პაროლინ ვოზნიაკი (დანია) — ალიზ კორნე (7, საფრანგეთი) 7:5 6:4

ფინალი
ვოზნიაკი — ჩაკვეტაძე 3:6 6:4 6:1

კაცთაგან განსხვავებით, ნიუ ჰევენის ქალთა ტურნირზე უფრო ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, რის გამოც კიდევ უფრო გასაკვირია, რომ აქ 18 წლის კაროლინ ვოზნიაკმა იმარჯვა. კარგა ხანია, ამომავალი დანიელი ვარსკვლავის ნიჭში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ მაინც საოცარია მისი წინსვლის ტემპი.

დანიელისთვის ეს უკვე მეორე ტიტულია. რამდენიმე კვირის წინ მან სტოქჰოლმშიც იხეირა, ოღონდ ახლა გაცილებით სერიოზული მეტოქეები ჰყავდა. თუმც ახალგაზრდა მეჩოგნე არაფერს შეუშინდა და გზად ისეთი ჩოგბურთელები დაამამათა, როგორებიც მარიონ ბარტოლი და ალიზ კორნე არიან. ფინალში კი ვოზნიაკის მეტოქედ ტურნირის პირველი ნომერი ანა ჩაკვეტაძე ჰყავდა.

ფავორიტად რუსი მიიჩნეოდა, რომელსაც აქამდე არც ერთი ფინალი არ წაეგო და 7-დან ამდენივეშივე ემარჯვა. თუმც ყველაფერს აქვს ბოლო და ჩაკვეტაძის წარმატებული ფინალების სერიაც დასრულდა — მიუხედავად იმისა, რომ მატჩი მისთვის ძალიან ცუდად დაიწყო, ვოზნიაკმა შეძლო ყველაფრის სათავისოდ შემობრუნება და მაინც იხეირა.

ამ გამარჯვების შემდეგ დანიელმა რეიტინგშიც გვარიანად წინ წაიწია და საუკეთესო ოცეულში მტკიცედ დამკვიდრდა.

ქალები
ფორესტ ჰილი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 74 800 დოლარი

ნახევარფინალი
ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) — ივეტა ბენეშოვა (3, ჩეხეთი) 6:2 6:4; შუაი პენგი (ჩინეთი) — კარლა სუარეს ნავარო (4, ესპანეთი) 6:1 6:2

ფინალი
შაფაროვა — პენგი 6:4 6:2

ორწელიწადნახევრიანი შესვენების შემდეგ ლუსი შაფაროვამ პირველი ტურნირი მოიგო. ეს სეზონი კი ჩეხისთვის ძალიან ცუდად მიმდინარეობს — თუნდაც ის რად ღირს, რომ წლეულს ნათამაშები 17 ტურნირიდან მხოლოდ სამჯერ შეძლო ზედიზედ ორი მატჩის მოგება.

ფორესტ ჰილში გამარჯვებამ კი ლუსის იქნებ თვითრწმენა დაუბრუნოს — დიდი ტურნირი ნამდვილად არ იყო, მაგრამ რეიტინგში 82-ე საფეხურამდე დაქვეითებული შაფაროვასთვის ახლა ყოველ წარმატებას ოქროს ფასი აქვს.

კახა ლომაშვილი





წამის ერთი მეასედი და წყლიდან ამომხტარმა ჰაერში ხელებგაწვდილმა მაიკლ ფელპსმა მილორად კავიჩს აჯობა და თავისი ოცნება გადაარჩინა

ფელპსის დასკვნა
ომეგას საათი არ ტყუის

16 აგვისტოს მილიონობით ამერიკელს სუნთქვა შეეკრა და ძარღვებში სისხლი გაეყინა — მათი ჯილა მაიკლ ფელპსი 100 მეტრი ბატერფლაის სტილით ცურვის ფინალს აშკარად აგებდა სერბ მილორად კავიჩთან. ის ვერაფრით ვერ მისცემდა თავს წაგების უფლებას, პეკინში რვა სახეობაში გამოდიოდა და რვაკე უნდა მოეგო, რათა დაემხო მარკ სპიცის ფანტასტიკური რეკორდი — 7 ოქრო ერთ ოლიმპიადაზე.

არადა, კავიჩი აშკარად უსწრებდა, მისი თავი ბარე 20-30 სანტიმეტრით წინ იყო ფელპსისაზე და ამერიკელს სარეკორდო ნაგებობა ხუხულასავით ენგრეოდა.

საფინიშო მეტრები, ორივე მისულია, კავიჩი პირველი იწვდის ხელს და ასე ჩანს რომ მან უკვე მიადო ხელი ფინიშს, როცა ოდნავ უკან მყოფმა ფელპსმა მთელი ტანით ამოიწია წყლიდან და ორივე ხელი აჯახა კედელს. ომეგას წამზომმა ფელპსის გამარჯვება დააფიქსირა — მისი დრო იყო 50,58 წამი, კავიჩისა კი 50,59.

ატყდა მითქმა-მოთქმა, რომ ფელპსს ცოტა მოუმატეს და ყველასთვის უცნობი სერბი დაჩაგრეს. მაგრამ ახლა ომეგას წარმომადგენელი მსოფლიოს არწმუნებს, რომ 16 აგვისტოს მისხალი შეცდომაც არ გაპარულა და არავის არავისთვის არაფერი არ მიუმატებ-მოუკლია. ფელპსმა კავიჩზე წამის ერთი მეასედით ადრე გააჩერა დრო. ახლაღა გამოქვეყნდა ზემოდან გადაღებული ფოტოები, როგორც ფელპსის (მარცხნივ) გამარჯვების ნივთ-მტკიცებულება.

„ფოტოზე კარგად ჩანს, რომ ფელპსი ძლიერად აჭერს ხელს კედელს მაშინ, როდესაც კავიჩი მხოლოდ ოდნავ ეხება — ამბობს ომეგას წარმომადგენელი სილვიო კიანე'ზე — წამზომის გასაჩერებლად საჭიროა სულ ცოტა სამი კილოგრამის ძალით მირტყმა კედელში ჩამონტაჟებულ წამზომის დიდ ფირფიტაზე. ოდნავი შეხება არ კმარა, რადგან უფრო ნაკლებ ძალაზე რომ რეაგირებდეს, ტალღების ტყლაშუნზეც გააჩერებდა დროს.

ოლიმპიადებზე კარგა ხანია ომეგა ითვლის შეჯიბრის დროს და ამ ფირმის ტექნიკის მიმართ დიდი უკმაყოფილება არვის გამოუთქვამს. მაგრამ ფელპსთან მარცხის შემდეგ კავიჩის მწვრთნელმა კაპონ მლადენმა სოკ-ის შესაბამის უწყებაში საჩივარი შეიტანა, თუმც მალე უკანვე გამოიტანა, რაკი გასარჩევი თურმე არაფერი ყოფილა. ცურვის მამები ომეგას მაინც შეუჩნდნენ და ფოტოების გამოქვეყნება მოსთხოვეს, რათა საბოლოოდ გაფანტულიყო ყველა ეჭვი.

„სპორტის ეს სახეობა ამ მხრივ რამდენადმე განსხვავებულია სხვათაგან — ამბობს კიანეზე — აქ ფინიშის ხაზი სივრცეში არ იკვეთება განსხვავებით მძლეოსნობისგან ან ავტოსპორტისგან. აუზში თავად მოცურავეები აჩერებენ წამზომს კედელთან უშუალო კონტაქტით. ომეგა მათ მაგივრად ვერ გააჩერებს დროს.

X X X

„2012 წლის ლონდონის ოლიმპიადა ჩემთვის უკანასკნელი იქნება“ — თქვა მაიკლ ფელპსმა პეკინის თამაშების დასრულების შემდეგ და ამის გამგონე მისმა შედარებით ახალგაზრდა მოწინააღმდეგეებმა უსათუოდ შვებით ამოისუნთქეს. ფელპსი ფართო საზოგადოებისთვის ოლიმპიადების რეკორდსმენი, ყველა დროის უდიდესი მოცურავე და პატივსაცემი სპორტსმენია, მაგრამ აი მისი თაობის ბიჭები ისე უყურებენ, როგორც ზვიგენს მისი ფარფლების ჩრდილში მოცურავე თევზები — სანამ ფელპსი წყალშია, სხვები თავისუფლად ვერ ილივლივებენ.

როგორც ჩანს, ამერიკელი ვარსკვლავებიჭუნა სრულად დააპურა პეკინის წყლიდან ამოღებულმა 8 ოქრომ და თუმცა ჯერ მხოლოდ 23 წლისაა, უკვე ალაპარაკდა კარიერის დასრულებაზე, ოღონ იმის პირობაც დადო, რომ კიდევ ერთი ოლიმპიური ციკლით დარჩება დიდ აუზში.

„საკუთარ თავს შევპირდი, რომ 30 წლისა აღარ ვიცურავებდი. ეს რომ ვუთხარი მწვრთნელ ბობ ბაუმანს, შევატყვე, გაუხარდა. მითხრა, 30 წლის იქით შენი წვრთნის პერსპექტივა აღარც მე მომხიბლავს. ჯერ ნუ მკითხავთ, კონკრეტულად როდის დავანებებ ცურვას თავს. იმასაც ვერ გეტყვით, ზუსტად რას ვიზავ ლონდონის ოლიმპიადამდელ წლებში. ძალიან მინდა ის სახეობები მოვსინჯო, რომლებშიც აქამდე სერიოზულ ტურნირებზე არ გამოვსულვარ, მაგალითად 100 მეტრი თავისუფალი, ან გულაღმა ორივე დისტანცია. დარწმუნებით მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, არასდროს გავცურავ ბრასს, გრძელ დისტანციებს და არც ღია წყალში გავალ, ასე რომ, ამ სახეობების ბიჭებთან ძველებურად ვიმეგობრებ. არასდროს შევიჭრები კოძუკე კიტაჯიმას ტერიტორიაზე და მას შეუძლია ლონდონშიც ისევე მოხვეტოს ბრასის ოქროები, როგორც ათენში და პეკინში. სხვები კი მიფრთხილდნენ, მათთვის ისევ მოწინააღმდეგე ვარ.

მერე ფელპსმა ლონდონზე და ინგლისზეც გამოავლინა ერუდიცია — ძალიან მიყვარს ეს ქალაქი, ხშირად ჩავდივარ და ზაფხულის წვიმიან დღეს ბუკინგამის სასახლის წინ გვარდიის ცვლას სიამოვნებით ვუყურებო (ჩანს, წაკითხული აქვს ტურისტული ცნობარის პირველი ორი გვერდი). მაგრამ ბრიტანეთში საცურაოდ ჯერ არ ჩავსულვარ, იქ ერთადერთ სპორტულ ღონისძიებას დავესწარი, „ვესტ ჰემ“ — „მანჩესტერის“ მატჩსო. 14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა იქვე ბრიტანელებს მოცურავეები შეუქო, ათენის მერე გვარიანად მოუმატეს და ვნახოთ, ამ ოთხ წელიწადში სადამდე გაიზრდებიანო.

გახდება მაიკლ ფელფსი „სელებრითი“, ანუ კომერციული „ცნობილი სახე“? აქამდე ის წყალში ღრმად თავჩაყოფილი ვარჯიშობდა და სარეკლამო-სატელევიზიო არხებით მომდინარე ფულის ნაკადს პეშვს არ უშვერდა, მაგრამ მან უკვე მიაღწია ცხოვრების მთავარ მიზანს, გადაასწრო მარკ სპიცს, გააკეთა ის, რაც არავის გაუკეთებია, ასე რომ ალბათ თავს ეკრანზე უფრო ხშირად გამოჩენის უფლებასაც მისცემს და ქვეყნის ყვითელ ინტერესსაც მეტად დააკმაყოფილებს.

ირაკლი ფირაზვილი

ნამდვილი შავი მარგალიტი
უსაინ ბოლტი
მსოფლიომ ახლა გაიცნო

უსაინ ბოლტმა პეკინის ოლიმპიადაზე სამი ფინალი მოიგო და სამივე მსოფლიო რეკორდის თანხლებით. ხომ ნახეთ, როგორ აღნიშნავდა 91 000 მაყურებლის თვალწინ — ჯერ ის თავისი ოქროსფერი წუღები გაიძრო და რაღაც იმპროვიზირებული იცეკვა, მუხლები და თეძოები აათამაშა, მერე დაბინდული თვალებით ჩასძახოდა კამერებს, პირველი ნომერი ვარო, გვერდით ჭოკით მხტომელებს ნერვებს და ხელს უშლიდა, მერე იამაიკის დროშის ფრიალით და დიდი ზარზეიმით „ჩიტის ბუდეს“ საპატიო წრე დაარტყა, ბოლოს კი ალბათ შეახსენეს — სარბენ ბილიკებზე სხვა ფინალი იწყება, ადგილი დაგვიცალეო და ასე გაარიდეს იქაურობას.

22 წლის ბიჭის ასეთმა დაუფარავმა ცანცარმა უცხოელ ჟურნალისტებს ლამის პირი დააღებინა. „ნუთუ ეს ის გაუბედავი ყმაწვილია, რომელიც ოლიმპიადის დაწყებამდე კრძალვით პასუხობდა ჩვენს კითხვებს?“ — ამბობდნენ ინგლისელები, ამერიკელები, გერმანელები, ფრანგები... „დიახ, ის ბიჭია, უბრალოდ აქამდე თქვენ მას კარგად არ იცნობდით“ — საკუთარი უპირატესობის შეგრძნებით ეპასუხებოდნენ იამაიკელები.

ანცი და ზარმაცი. ასეთია მოედანსგარეთ (და მოედანზეც) მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, რომელსაც ორი კვირის წინ მხოლოდ მძლეოსნობაში ჩახედულები იცნობდნენ, ისიც ზედაპირულად, ახლა კი მას აუდიენცია აქვს დანიშნული სხვადასხვა მაღალჩინოსნებთან და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი შიშობს, რომ უკომპლექსო იამაიკელი ბიჭი თავისუფალი ქცევით მის ორგანიზაციას ღირსებას მოაკლებს.

შეიძლება ბოლტს შარვალ-კისტუმი და ოლიმპიური ელჩის სიმბოლური სტატუსი ისე ვერ მოუხდეს, როგორც შავ-ყვითელი ტრუს-მაისური და ოქროსფერი ფეხსაცმელები, მაგრამ მის სამშობლოში ეს ყოველივე მეორეხარისხოვანია. ბოლტი ხომ ღარიბი ოჯახიდან გამოსული სახალხო ბიჭია, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ოდინდელი პლანტაციების მხარეში და მის ყველა გარბენს იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში მანდელას მოედანზე დიდ ეკრანზე უცქეროდა ათეულობით ათასი ლუდნასვამი ხმაურიანი იამაიკელი.

იამაიკაში ორ სპორტსმენს აღმერთებენ — ასაფა პაუელს და უსაინ ბოლტს, მსოფლიოს ძველ და ახალ რეკორდსმენ სპრინტერებს. ამ ოლიმპიადის შემდეგ კი ბოლტი აშკარად დაჩრდილავს თავის წინამორბედს.

საოცარია, მაგრამ სანამ ასაფა პაუელს ამ მაისში მსოფლიო რეკორდს მოუხსნიდა და 100 მეტრზე მის 9,74 წამს 9,72-ად გადააკეთებდა, ბოლტი მხოლოდ ოთხჯერ გასულიყო 100 მეტრის სტარტზე ზრდასრულ სპრინტერთა ოფიციალურ შეჯიბრში.

როგორ შეიძლება, ადამიანი ასე სწრაფად დარბოდეს? კითხულობენ მისი მნახველები. ალბათ რამე დოპინგს ხმარობს — თავს აქნევენ სკეპტიკოსები. მაგრამ ბოლტი ამ ეჭვებსაც მხიარულად იგერიებს. „200 მეტრის სტარტამდე იმდენჯერ ამიღეს სისხლი, რომ წნევა დამივარდა და რაღაც თავბრუსხვევას ვგრძნობ. მაგრამ მე მაგარი ვარ და ამასაც ავიტან. როცა გინდათ მაშინ შემამოწმეთ, მე ხომ ვიცი, რომ სუფთა ვარ.“

როგორ შეიძლება, ადამიანი ასე სწრაფად დარბოდეს? — მაინც ჯიუტად ეჭვიანობს ხალხი. „თქვენ რომ 17 წლისა გენახათ, მისი ნიჭის ნატურალურობაში წამითაც არ დაეჭვდებოდით — ამბობს ასაფა პაუელის პირადი მწვრთნელი სტივენ ფრენსისი, რომელიც ბოლტის პირველი პროფესიონალი მწვრთნელიც იყო — მაშინ ის გამხდარი და კაფანდარა იყო და 200 მეტრს 19,9 წამში გარბოდა. ახლა შეხედეთ, რა მასიურია და თქვენ კიდევ გიკვირთ, რომ 17 წლიდან 22-ამდე 0,6 წამით გააუმჯობესა თავისი დრო? მე ვერ გავუფანტავ ხალხს ეჭვებს. მათ ურჩევნიათ ასე იფიქრონ, ბოლტი პრეპარატებითაა გაჭყეპილი და არაა ნამდვილიო, მაგრამ ის ისეთივე ნატურალური ტალანტია, როგორებიც იყვნენ აინშტაინი, ნიუტონი, ბეთჰოვენი... დიახ, ბოლტი მათზე არანაკლებ ნამდვილია.“

ირაკლი ფირაზვილი



Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

უილბლო ულვაშა ლომი



ნაიჯელ ერნსტ ჯეიმს მენსელი
ინგლისი

დაიბადა 1953 წლის 8 აგვისტოს აპტონ-ონ-სევერნში (უორჩესტერი)

ცხოვრობს აშშ-სა (ფლორიდა) და ინგლისში (ჰემფშირი და კუნძული მენი)

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1980-1995 წლებში

მსოფლიოს 1992 წლის ჩემპიონი

1986, 1987, 1991 წლების ვიცე-ჩემპიონი 187 რბოლა, 31 მოგება, 59 პოდიუმი, 32 პოულ-პოზიცია, 30 უსწრაფესი წრე, 4 დიდი სლემი, 482 ქულა

გუნდები: „ლოტუსი" (1980-84), „უილიამსი" (1985-88, 1991-94), „ფერარი" (1989-90), „მაკლარენი" (1995)

აგვისტო ბრიტანელ ავტომრბოლ ნაიჯელ მენსელისთვის განსაკუთრებული თვეა — 55 წლის წინათ, 8 აგვისტოს მოვლინა ქვეყანას, 1980 წლის 17 აგვისტოს დებიუტი ჰქონდა ფორმულა 1-ში, ხოლო 16 წლის წინ, 16 აგვისტოს უნგრეთის გრან პრიზე „სამეფო რბოლების" უნიკალური მიღწევა დაამყარა, სეზონის ფინიშამდე ხუთი ეტაპით ადრე გაინაღდა მსოფლიოს ჩემპიონობა და ლეგენდარული ჯიმ კლარკის 29 წლის წინანდელი რეკორდი გააუმჯობესა. შორეულ 1963-ში „მფრინავმა შოტლანდიელმა" ტიტული ათიდან შვიდი რბოლის შემდეგ მოიპოვა. ულვაშა „ინგლისელმა ლომმა" 1992 წლის თავისი „ოქროს" ჩემპიონატი არაერთი სხვა მიღწევითაც გაამდიდრა: დასაწყისში ზედიზედ ხუთი დიდი პრიზი დუბლით მოიგო, სულ კი 16 რბოლაში 14-ჯერ ეკავა პირველი სასტარტო პოზიცია და ეს რეკორდები დღესაც დაუმხობელია, ხოლო 9 გამარჯვება, 108 ქულა და ვიცე-ჩემპიონთან 52-ქულიანი უპირატესობა, ცხრა წელი შეუვალად რჩებოდა

ცოლი მაგარი ზურგია

ნაიჯელ ერნსტ ჯეიმს მენსელი ცენტრალურ ინგლისში, უორჩესტერის საგრაფოს დაბა აპტონ-ონ-სევერნში დაიბადა. მამა, ერიკი, ელექტროინჟინრად მუშაობდა (ახალგაზრდობაში კარტინგით იყო გატაცებული), დედა, ჯოისი, დიასახლისობდა.

ნაიჯმა მამამისის პროფესია აირჩია, უმაღლესი ტექნიკური სკოლა დამთავრა და დიპლომირებული ელექტრიკოსი გახდა. მანამდე ბენზინგასამართ სადგურზე და ფანჯრების მრეცხავად მუშაობდა, მოგვიანებით, უკვე ფორმულა 1-ის მძღოლობისას, საპოლიციო კურსები გაიარა და კონსტებლის ლიცენზიაც მიიღო.

მრბოლობა კარტინგით დაიწყო და ცხრა წლისა საერთაშორისო შეჯიბრებაშიც გამოვიდა: *„რაც თავი მახსოვს, სიჩქარე ყოველთვის მიყვარდა. ეს სიყვარული დედაჩემისგანაც გადმომეცა, რომელსაც მშვენივრად დაჰყავდა მანქანა და მაშინ, როცა ინგლისში ჯერ არ იყო სისწრაფის შეზღუდვა, საათში ასმილიანი სიჩქარით დაქროდა."*

მალე მენსელი „ნამდვილ" მანქანაში გადაჯდა. ამასთან იგი არავის მფარველობით არ სარგებლობდა და ავტოკარიერაში საკუთარი თანხა ჩადო უკანასკნელ ჰენსამდე. 1976 წლის ივლისში ფორმულა-ფორდ 1600-ის „ჰოუკით" გაიჯირითა და პირველივე სტარტი მოიგო. თუმც ისე ჩანდა, რომ ამ უდაბლეს ფორმულაში კარგა ხნით ჩარჩებოდა, რადგან ფული გამოელია და ხეირიანი ტექნიკით თავისი თავის უზრუნველყოფა აღარ შეეძლო. მაგრამ ავტორბოლის სიყვარული ისე მკვიდრად ჰქონდა გამჯდარი, რომ კარიერის გასაგრძელებლად, შეიძლება ითქვას, ფინანსური გმირობა ჩაიდინა — მეუღლე როზანას თანადგომითა და თანხმობით სამსახური მიატოვა, სახლიც დააგირავა, ახალ გუნდში ადგილი რომ ეყიდა.

მენსელების ბედად, ამ განწირულმა ნაბიჯმა გაამართლა — ნაიჯელი 1979 წელს „მარჩ დოლომაიტით" „გროუვუდის" პრესტიჟულ რბოლაში ფინიშთან მეორე მივიდა, რის შემდეგაც საპირველფორმულო „ლოტუსის" მენეჯერმა პიტერ კოლინსმა მას გუნდის ბოსთან, ლეგენდარულ კონსტრუქტორ კოლინ ჩაპმენთან პროტექცია გაუწია და იმანაც 26 წლის თანამემამულე მეტესტედ მიიწვია, მომდევნო სეზონში კი ძირითად შემადგენლობაში ანდო ადგილი.

ბებერი დებიუტანტი

27 წლის გადაზრდილი ახალბედას დებიუტი 17 აგვისტოს „ოსტერრაიხრინგზე" შედგა. ავსტრიაშიც და ორი კვირის შემდეგ ჰოლანდიაშიც „ლოტუს-კოსუორტმა" ფინიშამდე ვერ გაძლო.

იმის მიუხედავად, რომ „ლოტუსით" ოთხ სრულ სეზონში ერთი რბოლის მოგებაც ვერ შეძლო, ტრასაზე უზომოდ აზარტულმა და სრულიად უშიშარმა „ბიგ ნაიჯმა" მალე დაიმსახურა არა მხოლოდ ჩეპმენის, მთელი საფორმულო პუბლიკის სიყვარულიც.

მაგრამ 1982 წელს 54 წლის გენიალური კონსტრუქტორი გულის შეტევით გარდაიცვალა, ახალმა შეფმა პიტერ უორმა მენსელი თავიდანვე აითვალწუნა და დაუფარავად მფარველობდა მის იტალიელ მეწყვილე ელიო დე ანჯელისს. მენეჯერ-მძღოლის გართულებულ ურთიერთობაში ბოლო წვეთი გახდა 1984 წელს მონაკოში ინგლისელის სულელური მარცხი, როცა რბოლის სათავეში მყოფმა, შუა დისტანციაზე ბოლიდი დამცავ ბარიერს მიალწა.

— ეს ბრიყვი უიმედოა — სახალხოდ განაცხადა უორმა — მან უკვე დიდი ხანია, ამოწურა თავისი ისედაც შეზღუდული შესაძლებლობები და ჩემპიონი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, როცა მე უკანალი შემიხორცდება.

ფრენჯ უილიამსთან

მენსელისთვის სულზე მისწრება აღმოჩნდა 1985 წელს „უილიამსში" მიწვევა, რომელიც იმ პერიოდში აღმავლობის გზაზე იდგა. „ჰონდას" 1000-ცხენისძალიანი ძრავებით აღჭურვილი ფრენკ უილიამსის მანქანები სწრაფიც იყო და საიმედოც. ნაიჯელმა პირველივე სეზონში ორი დიდი პრიზის მოგება შეძლო და ჩემპიონატი მეექვსე ადგილზე დასრულა, შემდეგ კი ორჯერ ზედიზედ ვიცეჩემპიონობა მოიპოვა.

მაგრამ იმ პირველ მოგებამდე იყო კოშმარი, რომელმაც კინაღამ წერტილი დაუსვა მენსელის მრბოლობას. საფრანგეთში, „პოლ რიკარზე" ვარჯიშისას ტრასის ყველაზე ჩქაროსნულ უბანზე „უილიამსს" უკანა მარცხენა საბურავი გაუსკდა: *„ასეთ სისწრაფეზე ბოლიდზე კონტროლი სრულიად დაკარგე და უმწეო მგზავრივა ვიყავი. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ბორბალი დაკიდულობის ფრაგმენტიანად მოტყდა და მანქანა ბარიერისკენ გაფრინდა. მერე წინა ბორბალი რაღაცას წამოედო, ისიც მოძვრა და სახეში მომხვდა. უცბად დაბნელდა და აღარაფერი მახსოვს. დანარჩენი მონაყოლით ვიცი".*

გონდაკარგული პილოტი ვერტმფრენით მარსელის კლინიკაში გადაიყვანეს. როცა გამოერკვა, ექიმებმა უთხრეს, უმძიმესი კონტუზია გაქვს, მაგრამ, ბედად, სხვა არანაირი დაზიანებაო. წნევის მკვეთრი აწევისგან ათი დღე თავის საშინელი ტკივილი ტანჯავდა. კლინიკიდან გამოწერის შემდეგ ერთი კვირა სახლში მუქი სათვალით ბნელ და უხმაურო ოთახში გაატარა, სამი დღე საერთოდ არავის დალაპარაკებია.

მაგრამ ყველაფერი მოგვარდა და სამ თვეში პირველ დიდ პრიზსაც გამოჰკრა ხელი. ეს ევროპის გრან პრისას ინგლისში, „ბრენდს ჰეჩზე" მოხდა, როცა მენსელმა კვალიფიკაციის მომგებ აირტონ სენას ვირტუოზული მანევრით აუარა გვერდი და ფინიშთან ვეება, 21-წამიანი უპირატესობით მიასწრო.

დაჯარგული ტიტულები

1986 წელს მენსელის პარტნიორი გახდა „ბრებემიდან" გადასული მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ნელსონ პიკე და საწყენი იყო, რომ თანაგუნდელებს შორის ურთიერთობა თავიდანვე ვერ აეწყო. ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, როცა ნაიჯელმა უკეთესი შედეგების ჩვენება დაიწყო. ამბიციურ, ჭირვეულ და სამართებელივით ენაბალარ ბრაზილიელს მასთან ხშირად ჰქონდა კონფლიქტი და შეურაცხყოფდა კიდეც. ერთხელ ისიც თქვა, მენსელი სოფლის კონსტებელია თავში ნახერხითო, ხოლო „ბრენდს ჰეჩის" პოდიუმზე ხელიც კი არ ჩამოართვა გამარჯვებულ ბრიტანელს.

ეს მენსელის სეზონი იყო — ყველაზე მეტი, ხუთი დიდი პრიზი მოიგო და კიდევ ოთხი პოდიუმით დასკვნით, ავსტრალიური ეტაპის წინ შვიდი ქულით უსწრებდა პიკეს, ექვსით — ფრანგ ალენ პროსტს. ასე რომ, ტიტულის მოსაპოვებლად მესამე ადგილიც ეყოფოდა. შაბათს კვალიფიკაციის მოგების შემდეგ თიოქმის აღარავის ეპარებოდა ეჭვი მის საბოლოო ტრიუმფში. მართლაც ფინიშამდე დისტანციის მეოთხედიღა რჩებოდა და ნაიჯელიც კომფორტული უპირატესობით ინარჩუნებდა საგვირგვინო მესამე პოზიციას. მაგრამ მისი „უილიამსის" საბურავები სულ უფრო „მელოტდებოდნენ" და გზას ცუდად იჭერდნენ. ამ მომენტში გუნდს საბედისწერო შეცდომა მოუვიდა, მენსელის სარბოლო ინჟინერმა დეივიდ ბრაუნმა ჩათვალა, რომ რეზინა ბოლომდე გაძლებდა და მანქანა ტრასაზე დატოვეს.

ერთი წრის შემდეგ მენსელის მანქანის უკანა მარცხენა საბურავი 310 კმ/სთ სიჩქარეზე ნაფლეთებად იქცა და „უილიამსი" ტრასიდან ტყვიასავით გავარდა. პილოტი უნებლად გადარჩა, ხოლო გამარჯვება და ტიტული სულ რაღაც ორქულიანი სხვაობით პროსტს ერგო.

ნაიჯელს მომდევნო წელსაც ჰქონდა ჩემპიონობის მშვენიერი შანსი, მაგრამ იღბალმა ისევ აქცია ზურგი. ამჯერადაც ყველაზე მეტი — ექვსი რბოლა მოიგო ჰიკეს სამის საპირისპიროდ, თუმც სეზონის ჩამთავრება ვერ შეძლო. ბოლოსწინა, იაპონიის გრან პრის კვალიფიკაციისას ბოლიდი საშინელი ძალით მიახეთქა ბარიერს, ფეხები მოიტეხა და ზურგი ისე დაუშავდა, ექიმებს ხერხემლის პარალიზებისა ეშინოდათ, ამასთან აორტის გასკდომასაც ეჭვობდნენ, რადგან გულსა და ფილტვებს შორის სითხე ჩაუდგა. მაგრამ „ბიგ ნაიჯი" ამ საშინელებიდანაც გამოძვრა, ოღონდ საგრძნობლად ტრავმირებული ზურგით. ჩემპიონობა პიკემ მოიპოვა, თუმც ვერც იაპონიაში და შემდეგ ავსტრალიაშიც ფინიშამდე ვერ მიაღწია.

ჩემპიონი შუა სეზონში

შემდეგ მენსელი ორი სეზონით იტალიაში გადაბარგდა, სადაც მაშინვე ტიფოზების სიყვარული და ახალი მეტსახელი დაიმსახურა. მან „ფერარით" პირველივე რბოლაში დიდ წარმატებას მიაღწია — ბრაზილიაში მეექვსე პოზიციიდან დაწყებული ბრძოლა ბრწყინვალე ფინიშით დააგვირგვინა. ახალ გუნდში პირველივე გრან პრის მოგება უიმშვიათესი შემთხვევაა და აღტაცებულმა ფანებმაც „ილ ლეონე" — ლომი შეარქვეს.

მაგრამ „სკუდერიაში" ის ორი ჩემპიონატი სახარბიელო ვერ გამოდგა, შესაბამისად მეოთხე და მეხუთე ადგილები გენერალურ კლასიფიკაციაში, რის შემდეგაც ნაიჯელი „უილიამსს" დაუბრუნდა.

სერ ფრენკის საჯინიბომ საშლიანი კრიზისი დაძლია, მოავარჯიშეს ინსტრუქტორმა პატრიკ ჰედმა [illegible] სი მორიგი შედევრი „უილიამს FW14" შექმნა, მანქანები „რენოს" სუპერძრავებით აღიჭურვა და გუნდმაც თანდათან დაიბრუნა სალიდერო პოზიციები. 1991 წელი მოსამზადებელი გამოდგა საპირველფორმულო მწვერვალის ექვსსეზონიანი ფანტასტიკური შტურმისთვის. „ბიგ ნაიჯმა" დაბრუნება ხუთი მოგებით და ვიცეჩემპიონობით აღნიშნა მესამედ ტიტულის მომგებ სენას შემდეგ, ხოლო მომდევნო წელს აბსოლუტურად უშანსოდ დატოვა მაკლარენიანი ბრაზილიელი „ჯადოქარიც" და „ბენეტონის" ამომავალი ვარსკვლავი მიხაელ შუმახერიც.

„უილიამსი" სწორედ რომ დაფრინავდა ტრასებზე, სამყაროს მერვე საოცრება — „რენოს" ძრავაც უხინჯო იყო, 16 რბოლაში მხოლოდ ორჯერ უმტყუნა მენსელს. „ინგლისელმა ლომმა" დიდებული პილოტაჟი გამოავლინა, თუმც ბოროტი ენები ქილიკობდნენ, იმ მანქანის საჭესთან თოჯინა რომ დაგესვათ, ისიც გაიმარჯვებდაო.

ასე ათუ ისე, ნაიჯელმა საწყისი ათი ეტაპიდან რვა მოიგო და მანამდე არნახულად ადრე, როცა სეზონის გასრულებამდე ხუთი რბოლა რჩებოდა, ტიტული გაინაღდა.

ლომი ფლორიდაშიც ლომია

მენსელი ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონია, გვირგვინი 39 წლისამ დაიდგა. მასზე ხნოვანები იყვნენ 44 წლის იტალიელი „დოქტორი" ჯუზეპე ფარინა (1950) და 46 წლის არგენტინელი „მაესტრო" ხუან მანუელ ფანხიო (1957).

ისე, ულვაშა ინგლისელი ინტელიგენტის ლამის ქრონიკული უიღბლობა რომ არა, „სამეფო რბოლებს" ორ-სამგზის ტრიუმფატორის რანგში მაინც დატოვებდა.

იმ თავის „ოქროს" სეზონში ნაიჯელის ხელფასი 13 მილიონ დოლარს შეადგენდა, რაც ფორმულა 1-ის ისტორიაში სიდიდით მესამე ანაზღაურება იყო სენას 16 და პროსტის 15 მილიონის შემდეგ. უზარმაზარმა შემოსავალმა ბრიტანელს საშუალება მისცა, შეეძინა ორი სახლი საშობლოში, კუნძულ მენზე, იახტა, გოლფის მოედანი პორტუგალიაში, თერთმეტოთახიანი ვილა ფლორიდაში, რომელიც მალე გამოადგა, რადგან ფორმულა მიატოვა, მომბეზრდა ჭუჭყისა და ტყუილის ატმოსფეროში ყოფნაო და სარბოლსაცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა.

შედეგი გამაოგნებელი იყო — 40 წლის ახალბედამ პირველივე გასვლით იოლად მოიგო იქაური „ინდიკარის" სერიის ჩემპიონატი და ერთადერთი პილოტი გახდა, ვინც ამ ორ ყველაზე პრესტიჟულ ავტოგაჯიბრებაში გამარჯვება შეძლო.

პენსიაზე გასული სხვადასხვა ძარიანი ავტოების ჩემპიონატებში გამოდიოდა, ერთხანს ინგლისში „ფერარის" წარმომადგენლობაში მუშაობდა და იტალიურ სპორტულ მანქანებს ჰყიდდა. ახლა თავისი ვაჟიშვილების, 23 წლის ლეოს და 21 წლის გრეგის ავტოკარიერითაა დაკავებული: „ორივენი წლეულს ამერიკულ „ჩემპკარ ატლანტიკის" ახალგაზრდულ სერიაში გამოდიან, ეს მათთვის საუკეთესო ვარიანტია და იმედია, წარმატებას მიაღწევენ".

გია ახალაძე

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№1 საავტომობილო ზეთი

ღირსეული და უღირსი

გამარჯვებული და დამარცხებული ფერარი

„ფერარის“ ბრაზილიელი პილოტის ფელიპე მასასთვის ვალენსიაში გამართული ევროპის დიდი პრიზი კარიერაში მე-100 რბოლა იყო და ეს იუბილე მან ბრწყინვალე გამარჯვებით აღნიშნა — კვალიფიკაციაშიც პირველი იყო, წრეზე საუკეთესო დროც აჩვენა და არავინ დაუეჭვებია თავის უპირატესობაში.

მასამ სეზონში მე-4, კარიერაში კი მე-9 გამარჯვება მოიპოვა, რომელიც ამავდროულად 207-ე იყო „ფერარისთვის“ 770 რბოლაში.

ამ გამარჯვებით მასამ გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ახლა ექვს ქულასღა აგებს ლიდერთან, „მაკლარენ-მერსედესის“ ბრიტანელ მრბოლ ლუის ჰემილტონთან.

„დიდებულია, როდესაც ასეთ რბოლას მოიგებ, განსაკუთრებით ბუდაპეშტში განცდილი ფატალური მარცხის შემდეგ — განაცხადა ფელიპემ, რომელსაც, შეგახსენებთ და წინა, უნგრულ ეტაპზე ბოლიდის ძრავა ფინიშამდე 3 წრით ადრე დაეწვა, მაშინ, როდესაც დიდი უპირატესობით ლიდერობდა — გუნდმა დიდებულად იმუშავა და შედეგიც სახეზეა. ჯერ პოული მოვიგე, შემდეგ რბოლა და ამ ყველაფერს ნაღებად საუკეთესო წრე დაემატა. ეს ჩემი მეასე რბოლა იყო და მოხარული ვარ, რომ ასეთ „ფერარის“ ძრავიანი მანქანით ჩავატარე“.

არადა, ვალენსიური რბოლისას იყო ერთი ეპიზოდი, როდესაც ფელიპეს ერთ დაუდევრობას მისი მთელი შრომა შეიძლებოდა წყალში გადაეყარა — მეორე პიტ-სტოპიდან გამოსვლისას ბრაზილიელმა ვერ შენიშნა ადრიან სუტილი, რომელსაც თავისი „ფორს ინდიათი“ უკვე დატოვებული ჰქონდა ბოქსი და კინაღამ შეასკდა გერმანელის ბოლიდს.

რბოლის სტიუარდებმა ამ ინციდენტის განხილვა დაიწყეს და იყო იმის დიდი ალბათობა, მასა რომ დაეჯარიმებინათ, ვთქვათ, პიტ-სტოპზე დამატებითი შესვლით, მაგრამ საბოლოო ჯამში ბრაზილიელი მხოლოდ 10 ათასი ევროთი და გაფრთხილებით დასაჯეს.

ამასობაში ფორმულა 1-ის ფაქტობრივმა მეპატრონემ ბერნი ეკლსტოუნმა ღიად განაცხადა, რომ წლევანდელ საჩემპიონო რბოლაში მისი ფავორიტი სწორედ ბრაზილიელი პილოტია. „ფელიპე მასა ჩემი ფავორიტია. ის ღირსია, რომ ტიტული მოიპოვოს“ — ბრძანა „სამეფო რბოლების“ ყოვლისშემძლე შეფმა.

... და, თურმე მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი კიმი რაიკონენი არ ყოფილა იმ ტიტულის ღირსი, რომელსაც ატარებს. დიახ, სწორედ ასეთი ხმები გამოვიდა „ფერარის“ სამზარეულოდან მას შემდეგ, რაც ფინელ პილოტს ვალენსიაში მორიგი მარცხი შეემთხვა. ეს ხმები, რომელთაც შეგვიძლია ჭორებიც ვუწოდოთ, საკმაოდ ინტენსიურია და რაღაც ისეთი პირი უჩანს, რომ რაიკონენი „სკუდერიაში“ ზედმეტი კაცი ხდება. მით უმეტეს იმ ინციდენტის შემდეგ, რაც, ცოტა უცნაური კია, მაგრამ ვალენსიური რბოლის, ისევ და ისევ მეორე პიტ-სტოპისას მოხდა, როდესაც კიმიმ ნაადრევად დაძრა ბოლიდი, ამის გამო საწვავის შლანგი მანქანაში ხომ ჩარჩა და რაც ყველაზე უარესია, ფინელი გუნდის ერთ-ერთ მექანიკოსს, კერძოდ კი პიერო ტიმპინის დაეჯახა.

საბედნიეროდ, ეს მექანიკოსი მხოლოდ მსუბუქად დაშავდა, თავად რაიკონენმა კი შეცდომა აღიარა და ბოდიში მოიხადა მომხდარის გამო.

„ეს ნამდვილად არ იყო ის უიქენდი, რომელსაც ველოდი და როგორის იმედიც მქონდა. თუმცა, მიუხედავად ამ მარცხისა, სატიტულო ბრძოლას არ ჩამოვშორებივარ — წინ ექვსი რბოლაა, ანუ 60 ქულის მოპოვება შეიძლება. თანაც წლეულს სიტუაცია ელვისებურად, ყოველი რბოლის შემდეგ იცვლება. რაც შეეხება მეორე პიტ-სტოპისას მოშხდარ ინციდენტს, შეცდომა დავუშვი და მანქანა ადრე დავძარი. საბედნიეროდ, პიეტრო მძიმედ არ დაშავებულა და მას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ინციდენტს გავლენა არ მოუხდენია რბოლის შედეგზე, რადგანაც ორიოდ წრეში ძრავამ ბოლი გაუშვა“ — განაცხადა რაიკონენმა რბოლის შემდგომ პრესკონფერენციაზე.

კახა ლომაძე



რაიკონენი ნაადრევად დაიძრა, საწვავის შლანგი მანქანაში ჩაიჭედა და ფინელის ბოლიდი მექანიკოს პიერო ტიმპინის (ქვედა ფოტოზე) დაეჯახა

რონ დენისი

კმაყოფილი და განრისხებული დენისი

„მაკლარენის“ შეფი რონ დენისი მიუხედავად იმისა, რომ ევროპის დიდი პრიზი არა მისი გუნდის რომელიმე პილოტმა, არამედ „ფერარის“ ფელიპე მასამ მოიგო, მაინც კმაყოფილი დარჩა ვალენსიური რბოლით და ამას თავისი, საკმაოდ მარტივი ახსნა აქვს — ჯერ ერთი ის, რომ „მაკლარენის“ ორივე მრბოლმა, ლუის ჰემილტონმაც და ჰეიკი კოვალაინენმაც საკმაოდ მაღალი ქულები, შესაბამისად 8 და 5 (მეორე და მეოთხე ადგილებისთვის) წამოიღეს ესპანეთიდან; მეორე ის, რომ ჰემილტონმა საერთო ჩათვლაში თავისი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და ახლა ის უახლოეს მდევარს, უკვე 6 ქულით უსწრებს; და მესამეც — გუნდურ ჩათვლაში „მაკლარენმა“ „ფერარიზე“ სამით მეტი ქულა მოიპოვა და პირველ ადგილზე მყოფ „სკუდერიასთან“ ჩამორჩენა 8 ქულამდე დაიყვანა.

დენისი კმაყოფილია და კმაყოფილნი არიან „მაკლარენის“ მრბოლებიც. ლუის ჰემილტონი: „ნამდვილად არ ვარ უკმაყოფილო დღევანდელი შედეგით. ჩვენთვის საკმაოდ მძიმე უიქენდი იყო და ჩემი აზრით, მაქსიმალური ოდენობის ქულები მოვიპოვეთ. თანაც, მანქანაც საკმაოდ სწრაფი იყო, ოღონდაც ამ ჯერზე მასასთვის კონკურენციის გაწევა ვერ შევძელით. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ ეს წარმატებული რბოლა იყო ჩვენი გუნდისთვის.“

ჰეიკი კოვალაინენი: „კარგი სტარტი ავიღე და რაიკონენს ეგრევე გავასწარი. გარკვეული პრობლემები მქონდა საბურავებთან დაკავშირებით, მაგრამ საბოლოო ჯამში არცთუ ურიგო შედეგი ვაჩვენეთ“.

ამასობაში პრესაში ისევ გამოჩნდა სტატიები, რომლებშიც ნათქვამია, რომ რონ დენისი „მაკლარენ-მერსედესის“ ხელმძღვანელი პოსტიდან წასვლას აპირებს. შეგახსენებთ, რომ დენისის შესაძლო გადადგომის თუ გადაყენების შესახებ ერთი ამბავი იყო ატეხილი წლევანდელი სეზონის დაწყებამდე, მაგრამ შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა. და აი, ახლა ისევ დაიწყო ამის შესახებ საუბარი, რამაც დენისი სასტიკად განარისხა. „სამი კვირაა, ჟურნალისტებთან არ მისაუბრია. ამ ხნის განმავლობაში პირველ ინტერვიუს ვიძლევი და ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ეს ყველაფერი მოგონილია — ბრძანა ესპანურ „ელ პაისთან“ საუბრისას „მაკლარენის“ შეფმა — მე ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ამბიციური მიზანი მაქვს და ყველაფერს ვიღონებ ამ მიზნების შესასრულებლად. ერთ მშვენიერ დღეს მე მართლა შეიძლება დავტოვო გუნდის მმართველის პოსტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ წავალ. უბრალოდ, ფუნქციებს შევიცვლი“.

კახა ლომაძე

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა

ბრნო 0:2 ბოლესლავი

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

ვილი 3:4 ლუგანო

ფინეთი

ვაიკაუსლიგა

კტპ 1:1 კუოპიო

ჰიკ 3:2 ინტერი

ნორვეგია

ტიპელიგა

ვოლერენგა 1:2 სტრიომსგოდსეტი

საფრანგეთი

II დივიზიონი

ნიმი 1:2 ლანსი

გერმანია

II ბუნდესლიგა

კაიზერსლაუტერნი 2:1 ნიურბერგი

ინგლისი

პრემიერლიგა

პორტსმუთი 0:1 მანჩესტერი

კონფერენსლიგა

ბარტონი 2:2 კიდერმინსტერი

მენსფილდი 3:2 ნორთვიჩი

ალტრინჰემი 1:1 რიძსემი

იორკი 1:1 ბაროუ

ტორკი 0:1 სელისბერი

ლეი 0:0 ებსფლითი

გრეისი 0:1 ისტბორნი

სტივენეიჯი 1:1 ძროული

ფორესტ გრინი 4:1 ვეიმუთი

რაშდენი 1:2 ჰისტონი

ოძსფორდი 0:0 უოკინგი

კემბრიჯი 0:2 კეტერინგი

შვედეთი

ალსვენსკა

მალმიო 1:1 ტრელებორგი

აიკ 2:2 ჰამარბი

სუპერეტა

იონკოპინგი 1:3 ლანდსკრონა

ატვიდაბერგი 3:1 დეგერფორსი

საცხვირო და სხვა ამბები

ოლიმპიადა დასრულდა და ერთხელაც გადავავლოთ თვალი პეკინურ ამბებს. ჯორჯ ბუში, სანამ ვაშინგტონში დაბრუნდებოდა და ანტირუსულ განცხადებებს გააკეთებდა, თანამემამულე პლაჟბურთელ ქალებთან ჩავიდა და გაამხიარულა.

მისტერ ბუში ტეხასელი კოვბოების შთამომავალია, აი, ვილჰელმ ალექსანდერი და მაქსიმა ნიდერლანდების პრინცი და პრინცესა არიან, ანუ ცისფერსისხლიანები გახლავან. თუმც ადამიანური სისუსტეები ყველას აქვს და „როიტერის“ ფოტოგრაფმა პრინცი ერთობ არაესთეტიკური საქმიანობისას გამოიჭირა.

„საცხვირო“ ფოტო გადაულეს ამერიკულ ტანმოვარჯიშე ალისია საკრამონესაც, ეს გოგო დვირზე ცხვირით ჩაერჭო.

ცხვირის პრობლემა შეექმნა თურქ ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე მეჰმეთ ოზალსაც, ხოლო ფეხი, რომელიც მას ხვდება, უკრაინელი ოლეგ კრუკასია.

ხელები მაღლა — რუს ფრენბურთელ გოგოებს ხელები ბრაზილიელებმა ააწევინეს. რუსებს არაფერი გამოუვიდათ, ბურთს წესიერად ვერ დააფარეს.

ახალზელანდიელ კეტი მაკვინს უმტყუნა ცხენმა, თუ ცხენს უმტყუნა კეტი მაკვინმა, ვერ მოგახსენებთ, თუმც შედეგი ამით არ იცვლება. შედეგი ფოტოზე ჩანს.





სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროჟიდლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge